# საქართველო

ორგანო ადრიხანთა — ოთხშაბათი, 10 ენკენისთვე 1919 წ. № 195 — ფასი 3 მან.

წლის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73





კინო-თეატრი. რუსთაველის პროსპ. № 21.
პირველი სეანსის დას წყისი საღ. 4 საათზე.

დღეს 10 ენკენისთვეს ჩვენ ეკრანზე ნაჩვენები იქნება

## უწმინდეს ხელოვნებისთვის

კინო-ტრაგედია 5 აქტად

სახელმწ. თეატრის მსახიობთა მაქსიმოვის, ვირობოვის ქალის სავიცკის და ვოლკონსკის მონაწილეობით

## საქართველოს ერობების წარმომადგენელთა მეორე ყრილობა

11 ენკენისთვე 1919 წ. დილის 10 საათ.
ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 6 (თბილისის მაზრის ერობის ბინა).

### დღიური წესრიგი

ა) ბიუროს მოქმედების ანგარიში; ბ) ერობების მდგომარეობა (ადგილებიდან); გ) ერობათა ცენტრის ორგანიზაცია; დ) საერობო დებულებანი: ცენტრის, მაზრის და თემის ერობათა; ე) ერობების ფინანსიური მდგომარეობა; ვ) ადმინისტრაცია; ზ) მიმდინარე საკითხები.

2—174—2

ვანო ბერძნიშვილის ფეხსაცმლის სახელოსნო

მუშაობა განაახლა. ვიღებ ყოველნაირ შეკვეთას სრული პასუხისმგებლობით.
წყნეთის ქუჩა, № 28. ვანო ბერძნიშვილი.

ყიდულობს, ჰყიდის იღებს ყველაფერს საკომისიოდ პროცენტებით და უპროცენტებოდ აძლევს აგანსად მიღებულ საგნებში შემფასებელით

თბილისში პირველი ყველაფერი საკომისიო მაღაზია — მიხეილის პრ. № 142 კინო-პალასის პირდაპირ.

ნივთების მოტანა და შეფასება სრულიად უსასყიდლოდ.
საჭიროა ტანისამოსი ფეხსაცმელები ფართლეულობა ჩულქები საცვლები ჰურჭელი ხალიჩები ავეჯეულობა, ძვირფასი საგნები.
ჩვენი დევიზი: ნდობის დამსახურება ჩვენს კლიენტებში. 10—5

## მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფად ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო საბურველიან ღუმელებში, ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, საავადმყოფოებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის საგანგებოდ დამზადებული ნახშირი და დიდ ძალი კირი, საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში საწყობები გვაქვს ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თბილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ წვრილად. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: თბილისში, გრიბოედოვის ქ. № 6, ტელ. № 11—45.

ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი მთავარი სააგენტო“.

15 1002—13


## სომხეთის მოციქულები

სომხეთის ინტერესების გამომხატველი თბილისელი გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო“ მეტ წილს თავის დაუშრეტელ ენერგიისას იმას ანდომებს, რომ ქვეყანას დაუმტკიცოს სომხეთის მთავრობის ულრესად მშვიდობიანური განწყობილება მეზობელ სახელმწიფოთა დმი.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა დაყოფის შემდგომ მათ შორის ინტერესთა ბუნებრივი განსაზღვრა მოხდა და იმ თავითვე აღინიშნა სომხეთის გადამეტებული პრეტენზიები და მისი დაუფარავი აგრესსივობა. სომხის ხალხი ვერ მორიგდა მეზობლებთან, ოდნავ დაც დროებით, და აწარმოვა მათ წინაამდეგ მუხანათური პოლიტიკა შინ და უმთავრესად გარედ.

რა საჭიროა თავის მოტყუილება! პირუთვნელი ფაქტები და შემოწმებული დოკუმენტები ცხადად ღაღადებენ განვლილ დროის მოქმედ ძალებზე და ყოველი მათგანის მოღვაწეობას მიკუთვნილი და დამსახურებული დაღი წარუშლელად აზის. „ყოველთვის მშვიდობის მოყვარულად განწყობილი სომხეთი,“ როგორც „კავკაზსკოე სლოვო“ აღნიშნავს, უკანასკნელ ნომრის მეთაურში, „ყოველთვისვე მზად იყო ყველა სადავო საკითხები კეთილმეზობლური განწყობილების პრინციპით გადაეჭრა.“

მაგრამ ახლო წარსული ისტორია მოგვითხრობს, რომ „კეთილმეზობლური პრინციპით“ თითქმის არც ერთი საკითხი დღემდე არ გადაწყვეტილა და ზოგიერთ შემთხვევაში ზანგეზურის, ქაჯა-ქუხილსაც შეუზანზარება ჩვენი სანაპიროები! ნაშ, სჩანს მეზობელ სახელმწიფოებს გამოუჩენიათ იმოდენი მზაკვრობა და შეურიგებლობა, რომ „კეთილმეზობლურად განწყობილი სომხეთი“ აიძულებიათ ძალის შემწეობით ცდილიყო განა გაუტანელ მეზობლების მიერ დათრგუნვილი მისი უფლებანი.

ასეთი აზრი საკმაოდ გავრცელებულია სომხის ინფორმატორებისაგან და ანტანტი და თვით შსოფლიოს საზავო კონგრესსი სომხის აგენტურის ზედგავლენით პირველ ხანებში ეცნობოდა ამიერ-კავკასიის „გადახლართულ კვანძს“.

„კავკაზსკოე სლოვოს“ ახალი არაფერი უთქვამს: მისი აზრი უფრო დაშნაკური დახელოვნებური თვალთმაქცობით ამ დღეებში დაშნაკცუტიუნის ლეიბ-ორგანო „ნორ-აშხატავორმა“ გამოგვცა: იქაც დაუსრულებელი ლაპარაკია სომხეთის ხელგაშლილობასა და სათნოებაზე. მოსაბეზრებელი წუწუნი, „სომხის დემოკრატიის“ უსამართლო დევნის შესახებ. სომხის დემოკრატია, თურმე ნუ იტყვით, დღე მუდამ იმისკენ იწვევდა საქართველო აზერბაიჯანის ხელმძღვანელებს, რომ მორიგებითა და კომპრომისით დაესრულებინათ ყოველი სადავო საკითხი და, რასაკვირველია, საზღვრების საკითხიც, მაგრამ, დაშნაკელების სიტყვით, შეთანხმებას სისტემატიურად ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი თავადები და აზერბაიჯანელი ბეგები. რომელთა პოლიტიკას აწარმოებს აქ სოციალდემოკრატია, ხოლო იქ მუსავატი.

დემოკრატიის მისწრაფებათა გამნადგურებელი მხოლოდ დაშნაკცუტიუნი ყოფილა და მისი რჩევა დროზე რომ მიეღოთ მეზობელ სახელმწიფოებს, ამიერ-კავკასიის ბედს, ალბად, ძალიც ვერ დაჰყოფდა.

გასაოცარია ერთი რამ: დაშნაკცუტიუნის და, მაშასადამე, სომხეთის მთავრობის, პარლამენტის და ყველა დაწესებულების მოქმედება და პოლიტიკა ყველასგან გაკიცხულია, გარდა თვით დაშნაკელების! ამას წინად სომხების ხიმიური [illegible] „ჟოღოვოდ ძაინ“ პირდაპირ სწერდა, რომ, თუ სომხეთი ასეთ სავალალო ყოფაშია ჩავარდნილი და მშრომელი ხალხის აწიოკებას და გაძარცვას საზღვარი არ უჩანს,—უსათუოდ და მხოლოდ დაშნაკცუტიუნის კაცთმოძულეობის პოლიტიკითაო. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ თვით სომხეთში მეტ წილად უკმაყოფილონი არიან ყველა წოდების დაშნაკელების ნავარდობით, მაგრამ ძნელია ხაზგადოებრივ აზრის აქტიური ამხედრება მაუზერებით შეიარაღებულ მმართველ პარტიის წინააღმდეგ.

დაშნაკცუტიუნის კურსით მიმდინარეობს სომხეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, თავადებულ ინგლისების ხელშია შემუსვრილ და აწიოკებულ რესპუბლიკის მთელი მართვა-გამგეობა და რაღა საკვირველია, თუ ამ სახელმწიფოს დამოკიდებულებას მეზობლებთან ვნების გარდა დღემდე არაფერი მოუცია.

„კავკაზსკოე სლოვო“ გვახარებს სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარის მისალმებითი სიტყვით ჩვენი ელჩის მიმართ და „კეთილმეზობლობის“ დასადასტურებლად ამ მოვლენითაც კმაყოფილდება, მაგრამ სომხეთის მთავრობის აგენტს ის აღარ გაეგება, რომ ტკბილი სიტყვებით ქართველი ერი სომხის ტკბილ-ხმოვან ორატორებისაგან გამოყრუებულია და რაცა ხანია საქმეზე გადასვლას ითხოვს. ცხადია, „კეთილ მეზობლურ გრძნობების“ დამტკიცება ამ შემთხვევაში მეტ სიძნელეს შეიცავს, ამიტომ სომხეთის პოლიტიკაც ჯერხნობით დრამატიკულ ფორმებში გამოიხატება.

მაგრამ როდემდის? ხომ მოახლოვდებით დრო, როცა უნდა წარმოითქვას უკანასკნელი სიტყვაც და მან საქმეში ჰპოვოს განსახიერება. აი, მაშინ გამომჟღავნდება ყველასთვის დასანახად თვითეულ სახელმწიფოს „კეთილმეზობლობა“ და ნამდვილი სურვილი ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა წყლულის გამრთელებისათვის.

ვნახოთ, იმ დროს რას იმღერენ თბილისში მყოფი სომხეთის მოციქულები...

## პრესსა

„სომხეთი და საქართველო“

გაზ. „ნორ აშხატავორი“ № 186 ათავსებს მეთაურს: „სომხეთი და საქართველო“.

„სომხეთის დეპუტატთა სააგენტომ გვაცნობა, თუ რა ნაირ სიხარულით და დემონსტრაციით შეეგებნენ სომხეთის პარლამენტში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს გერ. მახარაძეს. სომეხ-ქართველთა მშრომელ ხალხს საუკუნეებით უცხოვრია ერთხმად, ტკბილად, მეგობრულად, საუკეთესო გრძნობებით რუსეთის დესპოტიურ მთავრობის დროს აგრეთვე რევოლიუციის დღეებში. ორივე მეზობელი დემოკრატები რევოლიუციის ხანაში სრულ შეთანხმებით მოქმედებდნენ, მხოლოდ კავკასიის ერთი ფრონტის დაშლის შემდეგ ქართულ შოვინისტურ პოლიტიკის წყალობით, ორი ხალხი გაეყო ერთმანეთს არა მარტო პოლიტიკურად, სხვადასხვა ცხოვრებით, არამედ ფაქტიურადაც საზღვრების საბაბით. თავადურმა პოლიტიკამ, რომლის გავლენის ქვეშ არის ქართული სოციალ-დემოკრატია, ამ ერთი წლის განმავლობაში დაარღვია ორი მეზობელ ხალხის ძმური კავშირი, სომხობა მით განაცალკევეს, ხოლო ქართველი ხალხიც ჩააგდო აზერბაიჯანის კონტრ-რევოლიუციონურ ბეგების ხელში.

მაგრამ ორივე მეზობელ ხალხის დაახლოების საკითხი წინ გვიდგას და მოითხოვს სასწრაფოდ გადაჭრას. ორი რესპუბლიკის ხელმძღვანელ წრეებმა ეს სასიცოცხლო მოთხოვნილება კარგად უნდა შეიგნონ და ყველაფერი ეცადონ, მათ შუა მყოფი სადავო საკითხები ურთიერთ შეთანხმებით გადასჭრან სამუდამოდ. ამ დიდ შეგნებით არის შთაგონებული სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარის მისალმებითი სიტყვა, მიმართული საქართველოს წარმომადგენლისადმი. „სომეხ ქართველ ხალხს ამბობს თავმჯდომარე—გარდა კეთილ მეზობლურ დამოკიდებულობისა, საწინააღმდეგო არა აქვთ რა. ორივე მთავრობამ უნდა მოძებნონ ახალი გზები ერთ-მანეთის შესაკავშირებლად“. ეს სადა და უბირო სიტყვები შეიცავენ როგორც აწმყო საკითხებს, ისე მომავალ ტაქტიკის ისტორიულ პროგნოზს. და თუ აღმოსავლეთში უნდა აფრიალდეს სოციალისტურ ინტერნაციონალის დროშა, მის უფროს და პირველ ბელადათ უნდა გამოვიდეს სომეხი და ქართველი მშრომელი ხალხი. და მომავალს ფართო პერსპექტივების შეგნებით უნდა მივიდეთ საზღვრების მტკივანა საკითხთან, რომლის მნიშვნელობა ხანმოკლეა და რომლის გადაჭრაც ადვილი შესაძლებელია. ამ თვალსაზრისს ემყარება ქართველი სოციალდემოკრატიის ორგანო „ერთობა“-ც რომელიც მოითხოვს, საზღვრების საკითხის საბოლოოდ გადაჭრას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ პირობებში შეიძლება ნამდვილი სოლიდარობის და თანამოსაგრეობის განმტკიცება. საზღვრების გადაწყვეტა შესძლებს მოგვცემს, აგრეთვე მრავალ სხვა პოლიტიკური და ეკონომიური საკითხებიც გადავწყვიტოთ. სომხეთის მთავრობა ამ შემთხვევაში როგორც მუდამ, დგას შეთანხმების გზაზე. ვიმედოვნებთ რომ იმავე თვალსაზრისს დაიცავენ ქართველ მთავრობის ხელმძღვანელებიც“.

ძუძუმწოვარა ბავშვმაც იცის სად არის დასაბამი ქართველ-სომეხთა ურთი-ერთობის გამწვავებისა და ვინ შექმნა მშვიდობიანობის დამრღვევი პირობები! დაშნაკცუტიუნის პოლიტიკამ დაატაკა სომხის ხალხი ყველას, ვისთანაც კი მას რაიმე დამოკიდებულება ჰქონია ოდესმე, დაშნაკცუტიუნმა ბრწყინვალედ განამარტოვა, „სომხის დემოკრატია“ და იზოლიაციის შედეგს დღეს უკვე ჰგრძნობს სისხლით დაცლილი სომხის ხალხი, მაგრამ დაშნაკელთა ვექილი „ნორ აშხატავორი“ სიკვდილამდე კუზიანია და, ცხადია, აზრს არ შეიცვლის. „ქართველი შოვინისტების წყალობით“ მხოლოდ გამოაშკარავდა დაშნაკცუტიუნის გაუტანლობა და ვერაგობა და ეს „ნორ აშხატავორს“ დავიწყებული არა აქვს, ამიტომ... სატკენ წიხლს ისვრის...

## მთავრობის წრეებში

21 ენკენისთვის სხდომა.

### სალიკვიდაციოდ

გაეხსნას იუსტიციის მინისტრს 20,000 მან. იუსტიციის უწყების დათხოვნილ მოხელეთა სალიკვიდაციო ჯილდოთი დასაკმაყოფილებლად.

### თანამდებობიდან გადადგომა.

ქუთაისის საგანგებო სასამართლოს წევრთა შ. სანებლიძის და მ. ნიკურაძის შუამდგომლობა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ დაკმაყოფილებულ იქმნას.

### დადეშქელიანის საქმე.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალდებულ ხარაზიშვილის შუამდგომლობა ლ. დადეშქელიანის საქმის ბოლოშევიკების საქმიდან ცალკე გამოყოფის საჭიროების შესახებ უყურადღებოდ იქმნას დატოვებული.

### საეჭიმო საქმე.

გადაიდოს ახალციხე-ახალქალაქის ბორჩალოს და თიანეთის მაზრებში საექიმო საქმისათვის ამა წლის 1 ივლისიდან წლის ბოლომდე გასაწევ ხარჯების დასაფარავათ 666,048 მან.

### მილიციის დაარსება.

მოხსენება ახალქალაქის მაზრაში მილიციის დაარსების შესახებ მიღებულ იქმნას ხოლო შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი მიღებულ იქმნას სახ. კონტროლის და ფინანსთა მინისტრის შესწორებით.

### საფუთო გადასახადი.

ქუთაისის სამაზრო ერობის შუამდგომლობა ერობის სასარგებლოთ საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ სადგურებ მუხიანის, კოპიტნარის, რიონის, აჯამეთის, სვირის, ტყვიბულის და საჯევახოსი გადაეცეს დასკვნისათვის კომისიას შემდგარს გზათა ვაჭარ.-მოეწვ. და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთაგან.

### დაწესებულებათა გადატანა.

ქ. შულავრიდან სახელმწიფო დაწესებულებანი გადატანილ იქმნას ეკატერინენფელდში.

### კრედიტის გახსნა.

პეტროგრადის საკომერციო ბანკის თბილისის განყოფილებებში მომხდარ ბოროტ-მოქმედების და თბილისის საგუბერნიო ბატალიონის ყოფილ უფროსის ჩაჩიბაიას საქმეთა გამოძიების ხარჯების დასაფარავად გაეხსნას იუსტიციის სამინისტროს 15,925 მან. კრედიტი.

### დღიური ფული.

გადაიდოს სამხედრო-სამინისტროს განკარგულებაში სამხედრო ფონდიდან 12,400 მ. გენ. ქავთარაძის დღიური ფულით დასაკმაყოფილებლათ.

### შტატები მისიებთან.

უცხო სახელმწიფოთა მისიებთან მათ შტაბებთან და სარდლობასთან ურთიერთობისათვის დანიშნულ ოფიცერთა დროებითი შტატის და ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქმნას. დაევალოს სამხედრო მინისტრს წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას სათანადო კანონ-პროექტი.

### პირველ დაწყებითი სკოლები.

გაიხსნას 1919—20 სასწავლო წელს 165 ახალი პირველ დაწყებითი სკოლა.

### ავტომობილი კათალიკოსს.

უარი ეთქვას კათალიკოზს ჩამორთმეულ ავტომობილის დაბრუნებაზე და ნაცვლად ჩამორთმეულისა მიეცეს მის განკარგულებაში ერთი ავტომობილი სახელმწიფო გარაჟიდან.

### დამატებითი ჯამაგირები.

გადაიდოს 19426 მ. კულტურულ ტეხნიკურ სასწავლებლის მასწავლებელთა დამატებითი ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლათ 1918 წ. 1 ოქტომბრიდან დეკემბრის დამლევამდე.

### დამატებითი კრედიტი

გაეხსნას რკინის გზის გამგეობას დამატებითი 13306324 მან. კრედიტი სახაზინო რკინის გზებზე და სხვა გარემოებათა მომხდარ ზედნახარჯის დასაფარავად ამა წლის 1-ლ იანვრიდან 1-ლ ივნისამდე.

### გზატკეცილის შეკეთება.

გაეხსნას გზატკეცილების სამმართველოს სამხედრო ოსეთის გზის შესაკეთებლათ 380.000 მ. კრედიტი იმ პირობით რომ დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა ამ სამუშაოსთვის არ აღემატება აღნიშნულ თანხას.

### ტკბილეულობის დამზადება

მეკანდიტრეთა შუამდგომლობა საკანდიტროებში ტკბილეულობის დამზადების შესახებ დაკმაყოფილებულ იქმნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

კელნის მახლობლად გერმანელები ინგლისელთა რაზმს თავს დაესხნენ. ინგლისელებმა ქალაქს ჯარიმა დაადეს.

ესტონეთსა და ბოლშევიკებს შორის მოლაპარაკება დაიწყო.

ესტონეთის პროფესიონალ საბჭოთა ყრილობაზე პროლეტარიატის მომხრე კომუნისტები ესტონეთის მთავრობამ დააპატიმრა და საბჭოთა რუსეთში გაჰგზავნა.

ჩრდილოეთით ბოლშევიკებმა პეტროპავლოვსკი აიღეს.

თურქესტანში საბჭოთა ჯარი ქალაქ თემირს უტევს.

საფრანგეთ-ამერიკის კავშირის აღსანიშნავად ძეგლის აღების ცერემონია 6 ენკენისთვეს შესდგა.

## სიონისტები ო. უორდროპთან

არც ქართველი საზოგადოებისათვის საერთოდ და არც, მით უმეტეს, ისრაელ ქართველთათვის კერძოთ, ახალი ამბავი არ არის რომ საქართველოში ქართველ ისრაელთა გარდა რუსეთიდან ჩამოსახლებულ ებრაელების ნაწილიც სცხოვრობს უკანასკნელნი სულ დიდი-დიდი, შეადგენდენ ქართველ ისრაელთა 3 ან 4 პროცენტს. მიუხედავად ასეთი პროპორციისა რუსეთელი ებრაელები ყოველთვის ადგიან გასაოცარ ტაქტიკას, პრიორიტეტის ხელში ჩაგდებას სცდილობენ და სადაც კი მისწვდებიან, ყველგან მოაქვთ თავი ქართველ ისრაელთა წარმომადგენელებად. ისინი სარგებლობენ ჩვენი და მათი სარწმუნოების იგივეობით და რაც არა ერთხელ აღგვინიშნავს, ქართველ ისრაელთა საკითხს საერთო ებრაულ საკითხის ფარგლებში აქცევენ.

საერთოდ ტერმინოლოგიური განსხვავებაც ამ ორი სიტყვის შორის (ქართველი ისრაელი და ებრაელი) არ არის ჯერ-ჯერობით ნათლად გაშუქებული არა თუ მსოფლიო ბედის მჭედელთა წრეებში, არამედ ზოგი ქართველი ინტელიგენტისათვისაც. და ეს გარემოება ხშირად ჰბადებს და დაჰბადებს კვლავაც ბევრს გაუგებრობას უცხო ძალთა წინაშე.

ასეთი გაუგებრობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა აცილებულ იქნეს თავიდან, რისთვისაც დაუყოვნებლივ უნდა მიღებულ იქნეს ზომები არა მარტო ქართველ ისრაელთაგან და მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციათაგან, არამედ მთელი ქართველი ერისაგან და საქართველოს მთავრობისაგანაც.

ესენი იცნობენ ქართველ ისრაელთა კითხვის როგორც მეცნიერულ-თეორიულ, აგრეთვე პრაქტიკულ მხარესაც. ბევრი დაწერილა ამ კითხვაზე ქართულს პრესაში და უფრო მეტჯერ კიდევ მოგვცემია საშვალება მოგვესმინა ქართველ ისრაელთა როგორც მასიური, ისე წარმომადგენლობით გამოსვლების ხმა. ყოველ ასეთ შემთხვევაში ხაზგასმით და კატეგორიულად თქმულა, რომ 50.000 ქართველ ისრაელს არა აქვს რა საერთო ორი-სამი ათას ჩამოსახლებულ „ინვალიდ" ებრაელთან, გარდა თვისი სარწმუნოებისა.

მიუხედავად ამისა, რუსეთელ ებრაელებმა შეჰქმნეს თვისი ეროვნული საბჭო, რომლის ხმას ქართველ ისრაელთა ხმად ავლინებენ ქვეყანას. არა ერთხელ და ორხელ გამოუცხადებიათ ქართველ ისრაელებს ასეთი ახირებული პრეტენზიებისათვის თვისი სასტიკი პროტესტი, მაგრამ აბა რა გაასწორებს კუზიანს, თუ არა სამარე?!

ჩვენ გვითქვამს, დაგვიმტკიცებია, დაგვიბეჭდავს და გამოგვიცხადებია, რომ ჩვენი მომვლელი, ჩვენი მმართველი, ჩვენთვის გულშემატკივარი და ჩვენი ერთად ერთი კანონიერი წარმომადგენლები არიან მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს პარლამენტი, ჩვენი დამფუძნებელი კრება, ჩვენი კანონიერი ქართული მთავრობა და არა ვინმე ვიღინდარები, სრულიად ჩვენთვის უცნობი პირნი და მეტსაც ვიტყვით ჩვენი დაუძინებელი მტრები — შტრეიხერები, ლევინსონები და ძმანი მათნი. ქართველ ისრაელთ გვითქვამს, რომ ჩვენთვის არ არის სამშობლო, თვინიერ საქართველოისა. ჩვენ მათ ხშირად ამოვსდეთ პირში ლაგამი, მაგრამ თავხედი ხალხისათვის ლაგამი არ ყოფილა უებარი წამალი და არამკითხე მოამბეები განაგრძობენ ქართველ ისრაელთა სახელით პოლიტიკურ სპეკულიაციას.

აი ეხლაც, გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ მისტერ ოლ უორდროპს ენკენისთვის 6-ს სადარბაზოდ სწვევიან თბილისის ებრაელთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ფრაიდზონი და სიონისტთა ხელმძღვანელნი ექ. მ. შტრეიხერი, (რომელსაც, აქვე უნდა აღვნიშნოთ, ქართველმა ისრაელობამ არ ანდო საქართველოს პარლამენტის წევრობა და რომელმაც იცოდა რა წინაწინვე, რომ ქართველი ისრაელები მას გააშავებდენ, კონტრაბანდით სცადა საქართველოს პარლამენტში გასვლა, მაგრამ იმედები, როგორც ვიცით, გაუცრუვდა) და ვიღაც მ. ლევინსონი.

ბ-ნი ფრაიდზონი ჩვენ არ ვიცით, ვინ არის, მაგრამ, როდესაც ექ. შტრეიხერი თვისი მოწმე ლევინსონით ისეთ რამეებზე ალაპარაკდ ლაპარაკს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთან (და ისიც საქართველოს ხელმიწვდენით მცოდნე ისეთ პიროვნებასთან, როგორც მისტერ უორდროპი), როგორიც არის აღნიშვნა იმისა, რომ „ებრაულ მოსახლეობას არავითარი ექსცესები არ მოუტანია საქართველოში, სადაც ისინი სრულს უშიშროებას განიცდიან", ისეთ რამეზე ლაპარაკის აღძვრაც კი არის ადგილობრივ სიონისტთა ან სრული პოლიტიკური სიბეცე და უსუსურობა, ან ყოვლად დასაგმობი მათი თავხედობა და თავაშვებულობა და ან არის მათი მიქმედების პროვოკაციულ ელემენტების მატარებელი მოვლენა. ერთიც, მეორეც და მესამეც თანაბრად იწვევენ ქართველ ისრაელთა ღრმა აღშფოთებასა და გულისწყრომას.

ამ ვაჟბატონების თავხედობა იქამდეც კი აღწევს, რომ სრულიად გაუმართლებლად იმისა, თუ რომელ „ებრაელთა" ეროვნულ საბჭოს სახელით ებაასებიან მისტერ უორდროპს, ისინი „მართივ" ცნობებს აძლევენ მას საქართველოში მცხოვრებ „ებრაელთა" შესახებ და გამოსთქვამენ ჩვენის სახელით იმედს, რომ ანტანტის სახელმწიფონი საკუთარ „ეროვნულ" კერას დაუბრუნებენ ტანჯულ ებრაელობას.

რა უნდა იცოდეს შტრეიხერმა ქართველისრაელთა შესახებ, როდესაც გაგებაც კი არ აქვს ჩვენს მისწრაფებაზე ჩვენს ისტორიულ წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე?

ბ-ნ სიონისტებს კი დავიწყნიათ, რომ ქართველ ისრაელთა ეროვნულიც, ისტორიულიც, და რასიულიც სამშობლოც და კერაც არის მხოლოდ ის საქართველო, სადაც ჩვენ არც ნიკოლოზ I-ლის ორდენებითა და მოწყალეობით მიგვეცა ცხოვრების ნება და არც დროებითი ბედის მაძიებელნი ან ემიგრანტები ვართ აქ, არამედ ვართ ერთ ერთი ორგანიული ელემენტთაგანი ქართველი ერის არსებისა.

ჩვენი მიზანია საქართველო და მისი ეროვნული სუვერენიტეტი, აქ უნდა გაიშალოს ჩვენი მომავალი ისევე, როგორც იშლებოდა ამ 32 საუკუნის განმავლობაში და თქვენთან ბ-ნ კი, ქართველ ხოვითის მოციქულებთან, იმდენივე გვექნება საერთო, რამდენსაც მოითხოვს ჩვენი სარწმუნოებრივი იდენტიობა, თუმცა იმასაც დავსძენთ აქვე, რომ სარწმუნოების კითხვებშიც კი არ გენდობათ თქვენ ქართველი ისრაელობა და ყოველთვის და ყველგან იმიჯნავს თქვენგან თავს.

ი. ხანანაშვილი.

## ქუთაისის ისრაელთა ყრილობის დადგენილება

ქუთაისის ისრაელთა საჯარო ყრილობამ დამფუძნებელ კრების წევრის მოსე დავარაშვილის მოხსენების შემდეგ ერთხმად დაადგინა: 1) მიესალმოს აღფრთოვანებით საქართველოს უზენაეს დაწესებულებას დამფუძნებელ კრებას და უსურვებს მას გაორკეცებული ენერგიით განაგრძოს და დაამთავროს ჩვენი საერთო ალორძინების საქმე. გოხოვთ აცნობოთ ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას, რომ ქუთაისის ისრაელები ულრმეს აღშფოთებას გამოსთქვამენ ახლად გამოჩეკილ ორიოდე სიონისტის თავხედ გამოსვლების გამო. კრება მათ პროვოკაციულ ფურცლებს სასტიკად გმობს.

კრების თავმჯდომარე რაბინი არონ ბოთერაშვილი. მდივანი მოშე მიხელაშვილი.

## აჭარელთა დელეგაცია ყურბან ბაირამობას

ყურბან ბაირამობის დღეს მეჩეთში გადახდილ იქმნა საადრევო ლოცვა, რომელსაც დაესწრნენ აჭარელთა დელეგაციის წევრნი, რომელთაც მეტად მხურვალედ შეხვდენ მეჩეთში და ძმური ხვევნა-კოცნით მიიღეს. აჭარელთა თანადასწრებით გადახდილ იქმნა საერთო ლოცვა. აჭარელთა წამოსვლის შემდეგ მეჩეთში მიბრძანდა აზერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარე ბ. იუსუბბეკოვი და მეორე ნაგვიანებ ლოცვას დაესწრო. ლოცვის შემდეგ შეკრებილთ სიტყვით მიმართა. ამ დღესვე ბ. იუსუბბეკოვის პატივსაცემათ გადახდილ იქმნა პატივსაცემი ბანკეტი აზერბაიჯანის მისიის მიერ.

## მისტერ ოლივერ უორდროპი კათალიკოსთან

მისტერ ოლივერ უორდროპი ბრძ ნდებოდა სადარბაზოდ მათ უწმინდესობა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქ ლეონიდესთან. უმაღლეს წარმომადგენელს დიდ ბრიტანეთისას მათ უწმინდესობამ განუცხადა, რომ საქართველოს არაოდეს აგრესიული პოლიტიკა არ უწარმოებია და პირიქით უამრავ ერებს მის კალთის ქვეშ ნამდვილი მშობლიური ქრისტიანული მზრუნველობა უპოვიათ. გარდა ამისა ჩვენ გვგონია რომ საქართველოს ყოველივე შანსები აქვს, დამოუკიდებლად მმართველ განაგებდეს თავის ქვეყნის საქმეებისა, რაც მან ამ ერთი წლის განმავლობაში საჯაროთ დაუმტკიცა მთელ ქვეყანას, და თუ ვინმე დაგვიმტკიცებს რომ ჩვენ ნება არ გვაქვს დამოუკიდებლობით არსებობისა გინდ იურიდიულად გინდ ისტორიულად მაშინ ჩვენ იმდენი ვაჟკაცობა კიდევ შეგვრჩენია რომ დავეთანხმოთ ამ აბსურდზედაც კი. ბრიტანეთის უმაღლეს მისიის თავმჯდომარემ მისტერ ოლივერ უორდროპმა გულდასმით მოუსმინა მის უწმინდესობას ასეთ სამართლიან აზრთა ხატვას გულისას, შეურყეველ ჭეშმარიტ პატრიოტ საქმის მპყრობელისას და განუცხადა რომ ინგლისის უმაღლესი წრეები და მსწავლული საზოგადოება დიდის პატივისცემით და ნდობით ეპყრობიან საქართველოს ეკლესიას და საქმეებსაც. საუბარმა კ რგა ხანს გასტანა. კათალიკოსმა მეორე დღეს გადუხადა ვიზიტი ძვირფას სტუმარ უორდროპს.

## ქრონიკა

**ქალალდის მიღება.** ფოთში მთავრობის სახელზე შვეციიდან უკვე მოსულა ერთი გემი ქაღალდით. ნახევარი ამ ქაღალდისა ე. ი. ორი ვაგონი დაეთმო ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

**ხეხხი გამომცემლობაზე** ქ. შ. წერა კით. გ. მავრც. საზ. მთავრობა გამგეობამ სხვა და სხვა პირთ და ამხანაგობებს წიგნთ სავაჭროებს მისცა სესხათ 100 ათას მანეთი.

**წერა-კითხვის სკოლები** ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მთელი სკოლების მიღება თანახმათ სამინისტროს ცნობისა, სახალხო განათლების სამინისტრომ იკისრა და მალე უკვე სამინისტრომ აქვე გადაეცა მთელი ინვენტარი ამ სკოლებისა.

**ჟურნალ „განათლებას"** სახალხო განათლების სამინისტრომ თბილისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირს აღმოუჩინა დ ხმარება 30 ათასი მანეთით ჟურნალ განათლების გამოსაცემად, რომელსაც განსვენებულ ი. ლ. ბოლქვაძე სცემდა.

**„ჯეჯილ"-„ნაკადულს".** სახალხო განათლების სამინისტრომ საყმაწვილო ჟურნალების „ჯეჯილის" და „ნაკადულის" რედაქციებს აღმოუჩინა დახმარება, თვითეულს 20 ათას მანეთით.

**იტალიელთა ეკონომიური კომისია.** როგორც გვატყობინებენ ამ დღეებში იტალიიდან თბილისში ჩამოვა იტალიის მთავრობის მიერ გამოგზავნილი ეკონომიური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს საქართველოსთან და აზერბაიჯანთან ეკონომიური ხელშეკრულებანი დადოს.

**გენ. ბრიგს წასვლა.** გუშინ თბილისიდან ინგლისისაკენ გაემგზავრა ამიერ-კავკასიაში მყოფ ინგლისელთა ჯარების გენერალურ შტაბის უფროსი გენ. ბრიგს თავისის შტაბითურთ.

**ხატისოვის ჩამოსვლა.** გუშინ საღამოს ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ა. ხატისოვი და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჰაიკ იაგჯიანი.

**აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარე** ბ. იუსუბბეკოვს დღეს ბანკეტს უმართავს მთავრობა.

**რომის პაპის ლეგატი.** ვიზიტატორი დელფიუში ხვალ 12 მარიამობისთვეს მიემგზავრება მესხეთ ჯავახეთის რაიონში.

— რომის პაპის ლეგატს ვიზიტატორ დელფიუშს 8 აგვისტოს პოლონელთა კოლონიამ ბანკეტი გადუხადა, საზეიმო მესის შემდეგ, რომელიც შესრულებულ იქმნა კასტელში.

**გამომცემლობა.** 1) იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდად ქართული წერის დედანი და სახატავი ნიმუშები ს. დათეშიძის მიერ შედგენილი 2) დაიბეჭდა და იყიდება არითმეტიკული ამოცანათა კრებული გიმნაზიის 2 კლასის კურსი ამავე ავტორისა. 3) ბრიტანიკურ ბალის ხაზქ მ გამოსცა პროფ. ჩიქჩეკოვს ახალი წიგნი რუსულათ: ნარკვები თბილისის ბატანიკურ ბალის სამეცნიერო სასარგებლო — ვანკუთვლების შესახებ.

**ნაძირალთა სახაიე** მეხუთე კომისარიატში ებრაელების ქუჩაზე მამადი ფსკარას ტრახტირში ზევით სართულში გამართულია სახაიე სადაც საგანგებოთ მოწყობილია სხვა და სხვა თამაში რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ათას გვარი ნაძირალი. ამ დღეებში თამაშის დროს ერთი ებრაელისთვის ისე უცემიათ, რომ კინაღამ არ მოუკლავთ. დროა ვისიც ჯერ არს ყურადღება მიექცეს.

**ახალი წიგნი** რედაქციამ მიიღო სერგი გორგაძის მიერ შედგენილი და თომა მთავრიშვილის მიერ გამოცემული კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა" წიგნი შეიცავს 478 გვერდს და ღირს 50 მ.

### სხვა და სხვა ამბები

**დატუსაღება** მე 12 კომისარიატის მილიციელებმა შეიპყრეს ქალაქთა კავშირის სახელოსნოს მუშა ს. მართაჯევი, რომელსაც ბრალი ედება სახელოსნოდან რამოდენიმე ათასი მანეთის რკალის მოპარვა. მართაჯევი დანაშაულში გამოტყდა.

**უცნობი გვამი.** 7 ენკენისთვეს ერთ მილიციელმა მე 12 უბანში იპოვა ხეზედ ჩამოხრჩვალი უცნობის გვამი.

**ყალბი ხაბუთი.** შეიპყრეს მილიციონერი ი. წითიშვილი, რომელსაც ბრალდება ყალბ მოწმობით 10000 მანეთის მიღება ფოსტიდან გადმოგზავნილი ბაქოდან თბილისში გრ. გელაშვილის სახელზე.

**დაპატიმრება.** სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ვოლფოვიჩი, რომელსაც ბარის იოფესაგან კონიაკების შესაძენათ მიღებულ 35,000 მანეთის მითვისება ბრალდება.

**დატუსაღება.** სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო რასპაიაშვილი, რომელმაც მუქარის წერილი გაუგზავნა სერებრიაკოვს.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ მეთაურის პირველ სვეტის მე 26-ე სტრიქონში შეცდომით დაბეჭდილია: რწმუნებულ ერის, უნდა იყოს: რწმუნებულების.

## პროვინციის ცხოვრება

### ქ. ხონი.

წარსულ კვირას ქ. ხონში ადგილობრივ მცხოვრებს გურ. მესხს თავს დაესხნენ რამოდენიმე შეიარაღებული პირნი და სროლა აუტეხეს. მესხას ოჯახიდანაც სროლითვე უპასუხეს.

ბოროტ-გამზრახველებმა ვერაფერი წაიღეს, მაგრამ ტყვიით დასჭრეს თავში მესხა, ხოლო მისი ძმა კი მუცელში. უკანასკნელი მალევე გარდაიცვალა, ავაზაკები ვერ შეიპყრეს.

## საღმრთოსმსახურო მესსა

კვირას, 7 ენკენისთვეს ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადახდილ იქმნა საზეიმო მესსა, ახლად ჩამოსულ პაპის ლეგატის ვიზიტატორ დელფიუშის საპატივსაცემოდ. შესრულებულ იქმნა მთელი ოპერა. მესიკა ჰიოცარტისა ხოროების სოლისტების სკრიპკა ორღანოების მიერ. მესსა შეასრულეს პატერ ლაზარიშვილმა დონ საფაროშვილმა ნაწილი ქართულად ნაწილი ლათინურად. შუა მესსის დროს მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ვიზიტატორ დელფიუშმა და გადასცა საქართველოს შვილს სალამი და მილოცვა პაპისა დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. მესას დაესწრნენ წარმომადგენელნი საქართველოს მთავრობისა ბ-ნი მინისტრი ხომერიკი, მინისტრის ამხანაგები ბ.ბ. საბახტარაშვილისა და ჰერინაძესთან ერთად, წარმომადგენელი საქართველოს კათოლიკისა, პოლიტიკური პარტიათა საზოგადო მოღვაწენი და უცხოეთ სახელმწიფოთა, ინგლისის, საფრანგეთის იტალიის, პოლონეთის.

მესსის შემდეგ სკოლის დარბაზში გაიმართა ბანკეტი. სუფრის ტოლუმბაშათ არჩეულ იქმნა ბ. გვაზავა. ბანკეტზე წარმოითქვა მხურვალე სიტყვები. ილაპარაკეს ბ.ბ. გრ. დიასამიძემ, გ. გვაზავამ პ. ს. თუმანიშვილმა, პოლონელთა მხრივ ოსტროვსკიმ, პრინც მიურატმა, პატრმა კალისტრატ ფეშვილმა, დონ ანტონაშვილმა, ზ. ჰერინაძემ და სხვ. დაიძ ია სადღეგრძელოები ქართველ კათოლიკეთა განთავისუფლების შესახებ სომხეთიზ დგავლენის ქვეშ და საქართველოს ერთიანობისა. ბანკეტმა მეტად აღფრთოვანებით ჩაიარა. რომის პაპის ლეგატმა დელფიუშმა გამოსთქვა დიდი სიხარული იმ სამაგალითო შეხვედრის და ნახვის გამო რომელიც მან საქართველოში განიცადა და განმეორებით სადღეგრძელო მიირთვა საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელსაც რომის პაპი საჯაროდ აღიარებს. ღრმად ნასიამოვნები საზოგადოება, მონაწილენი ბანკეტისა ნაშუაღამევის 5 ნახევარ საათზე დაიშალა.

## ეკონომიური ცხოვრება

### სვანეთის ოქრო.

საქართველოს რესპუბლიკის სამთო სამმართველოს მიერ სვანეთში ამას წინად გაგზავნილ იყო საგანგებო კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია ოქროს მადნიანი ადგილები. ეხლა ხსენებული კომისია სამთო სამმართველოს აუწყებს, რომ ოქრონარევი ქვიშა მდ. რიონის ნაპირების გასწვრივ ყველგან მოიპოვება, ხოლო ჯერ ვერ ირკვევა ხსენებულ ოქრონარევ ქვიშიან ადგილების დამუშავებას იქნება სამრეწველო მნიშვნელობა თუ არა. ამასთანავე სამთო სამმართველოს სვანეთიდან მოსვლია ნიმუშები ამ ოქრონარევ ქვიშისა, რომლის ანალიზსაც მალე მოახდენენ. ინჟინერ გეოლოგ ქ ნიშუსკის აზრით, რომელსაც ამ ადგილებში უმუშავნია, იქ ძველად ყოფილა დამუშავებული ოქრო, რის ნიმუშებიც ატყვია რიონის ნაპირებს. ამ ჟამად იკვლევენ ამ ადგილების ზედა პირს და როგორც ეტყობა ზედაპირს ქვეშ სიღრმეში გაცილებით მეტი ოქროა.

სტრაბონისა და პლინიუსის სტრიქონები ძველ კოლხიდაზე და ლეგენდები ოქროს საწმისზე ახალ საქართველოსთვის ცოცხლდება. ზედმეტია ლაპარაკი, რა იქნება ჩვენთვის სვანეთის ოქროს მადნები თუ მასი სამრეწველო მნიშვნელობა გამართლდა.

საჭიროა ოქროს მადნიან ადგილების გამოკვლევის დაჩქარება არა მარტო სვანეთში არამედ სრულიად საქართველოშიც.

## ალაზნის არხი

რესპუბლიკის წყალთა სამმართველომ დაამთავრა პროექტის შედგენა მდ. ალაზნიდან შიგნით კახეთში დიდი არხის გაყვანის შესახებ. არხის გაყვანის საჭიროება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სრულიად სიღნაღის მაზრა და თელავის მაზრის დიდი ნაწილი დიდ გაჭირვებას განიცდის ზაფხულობით გვალვობის გამო. არხი იქნება დაახლოვებით 80 ვერსის სიგრძისა, დაიწყება სოფ. ახალშენის პირდაპირ და გაივლის მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. არხის გაყვანას აბრკოლებს ხევების სიმრავლე, რომელსაც ალაზნის ველს მიულ მარცხენა მხარეს სერავს. არხი სამსახურს გაუწევს 50 000 დესეტინის სივრცეს. არხი ბევრ ალაგას გადის ისეთ ადგილებზე, სადაც უწინ თამარ მეფის არხი იყო გაყვანილი მეთორმეტე საუკუნეში. არხის შუა ადგილზე მოწყობილი იქნება მძლავრი ელექტრონის სადგური, არხის დასაწყისიდან 35 ვერსის მანძილზე. ელექტრონის სადგური იქნება 50 000 ცხენის ძალისა ეს ძალა მოხმარდება როგორც არხიდან წყალის მაღალ ადგილებში მიწვდენას, აგრეთვე სოფლების განათებლად და მცხოვრებთა საშინაო საჭიროებისათვის გამოყენებას. არხი დიდ სამსახურს გაუწევს მთელ მხარეს, როგორც მეურნეობის აწევით, ისე კიდევ მცხოვრებთა ცხოვრების გაუმჯობესებით. პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ფულის რაოდენობის გამორკვევა ჯერ ჯერობით ძნელია, რადგან საჭირო მასალების ფასი ცვალებადია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შედარებით არხი იაფი დაჯდება, რადგან უმეტეს ნაწილად არხის წყალს ხელოვნურად გადაჭრა არ დასჭირდება.

ჩვენი სასოფლო მეურნეობა დიდათ არის შეფერხებული უწყლობისა გამო. რაც ნებას აძლევს ქვეყანას მოსავალი დაჩაგროს.

მეტადრე კახეთია დიდს გაჭირვებაში. ორი მისი მდინარე: იორი და ალაზანი მის ველებისათვის უმეტესად გამოუსადეგარნი არიან და ხშირად მათ ნაპირებზე ბაღების და ყანების ნაცვლად მიწის უდაბნოებს ვხედავთ. ერთი მხრივ ეს აიხსნება მათი კალაპოტის ვიწროობით, მაგრამ მათი გამოყენება მაინც შეიძლება ასეთ დიდი არხების გაყვანით როგორც იქნება ალაზნის არხი.

ალაზნის არხი კახეთის მოსავალს ერთი ორად აქცევს.

## ბერძნების აყრა არტაანიდან.

როგორც ჩვენი გაზეთის საკუთარი კორრესპონდენტი გვატყობინებს და როგორც მთავრობის საგანგებო რწმუნებული ბ. გიორგაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალციხიდან დეპეშით აუწყებს, არტაანის ოლქიდან ბერძნის მოსახლეობა აიყარა და საბერძნეთს დასასახლებლად მიემგზავრებიან.

## მადლობის გამოცხადება

ინგლისის საველე ფოსტა ტელეგრაფის კავშირის უფროსი პოლკოვნიკმა გიჩკოკმა ფოს ტ. ოლქის უფროსს შემდეგი სამადლობელი წერილი გაუგზავნა: „მ. ხ. ვინაიდან მე ძალიან მალე წავალ თბილისიდან, უნდა მოგიძღვნათ თქვენ და თქვენს თანამოსამსახურეებს ჩემი გულითადი მადლობა ყველა იმისთვის, რაც თქვენ ჩვენთვის გააკეთეთ.

თქვენ დაგვითმეთ ხელსაწყობები, ხაზები და აპარატები და გაგვიკეთეთ მთავარი სამუშაოს უდიდესი ნაწილი.

ვერ ვიტყვი, რამდენად მაღლა ვფასდებოდი ჩვენგან თქვენი თავაზიანობა. ჩვენ გვიდგა მეტად ძნელი დრო, და ჩვენი ტელეგრაფის მუშაობა გამოდიოდა ასე კარგათ უმთავრესად თქვენის მეოხებით.

ჩვენთვის მეტად ძვირფასი იყო აგრეთვე ის ყურადღება, რომელიც თქვენ და თქვენმა თანამოსამსახურეებმა აღმოგვიჩინეთ ჩვენ.

გიძღვნით რა განმეორებით მადლობას და გისურვებთ რა ყოველივე სიკეთეს, დავშთები თქვენი ერთგული.

ოფიცერი — კავშირის უფროსი პოლკოვნიკი გიჩკოკი

## აზერბაიჯანი

### სოციალისტების მკვლელობა რესტორანში.

პარასკევს 5 ენკენისთვეს, რესტორან „ნოვი სვეტ"-ში, ინჟინერმა ჰაჯი-ბეკ სეიდბეკოვმა რევოლვერით ტყვიით მოჰკლა „გუმეტის" მუშათა პარტიის წევრნი მუსევი და ალიევი, და მძიმეთ დასჭრა ბაქოს ბოლშევიკების ლიდერი ლევან ღოღობერიძე.

საქმის მდგომარეობა ასეთია: (ღამის 11 საათისათვის რესტორანში მივიდნენ მუსიევი და ალიევი და მოითხოვეს ვახშამი სამი კაცისათვის, რადგან ერთს კიდევ ელოდენ. ცოტა ხნის შემდეგ რესტორანში შემოვიდა პოლიცია, რომელიც პასპორტებს შინჯავდა. პოლიციის წასვლის შემდეგ, რესტორანში შემოვიდა ლევან ღოღობერიძე და ადგილი დაიკავა მუსიევისა და ალიევის გვერდით. მეზობლად მეორე მაგიდა დაიკავა ინჟინერმა ჰაჯი-ბეკ სეიდბეკოვმა, ორი მამაკაცის და ერთი მანდილოსნის თანხლებით.

მუსიევი გამოელაპარაკა ჰაჯი-ბეკს და ლაპარაკში სხვათა შორის სთქვა: აზერბაიჯანის დღევანდელ მთავრობის, სულ მცირე ხანში, ჩვენ პარაპეტზედ ჩამოვკიდებთ, ხოლო პრემიერათ ღოღობერიძე იქნებაო".

ლაპარაკმა ცხარე ხასიათი მიიღო. მოულოდნელად სეიდბეკოვი წამოიჭრა თავის მაგიდიდან და ორივე მხარეს ოთხლ ვერით იძრეს.

მუსიევმა შესძახა:

— რას იზამ ჰაჯი-ბეკ?

— ბოლშევიკი იისტურ, იამან და ესროლა ალიევს, რომელიც იქვე დაეცა, ღოღობერიძე წამოხტა სკამიდან და ხელში სტაცა სეიდბეკოვს, მაგრამ მან მასაც რევოლვერი ესროლა მუცელში და, როდესაც იგი უკვე იატაკზედ ეგდო დაჭრილი, კიდევ რამოდენიმე ტყვია დაახალა.

სეიდბეკოვი დაატუსაღეს.

გამოირკვა, რომ ალიევი და მუსიევი იქვე გარდაიცვალნენ, ხოლო ღოღობერიძე ერთი ტყვიით მძიმედ იყო დაჭრილი მუცელში, ხოლო მეორეს, გულის ზევით აუვლია.

პოლიციამ რომელიც დაუყოვნებლივ მოვიდა რესტორანში, ყველა შემოსარტყა მთელს უბანს და გამოძიება დილის 5 საათამდე სწარმოებდა

ლევან ღოღობერიძე ბაქოს ბოლშე-

ვიკების ერთი ბელადთაგანია და თავმჯდომარე [illegible] მუშათა კონფერენციისა.

ალიევი — „მუსავატის" მუშათა პარტიის წევრია და ცნობილია, როგორც ამ პარტიის [illegible] ფრთის ხელმძღვანელი.

მუსიევი სტუდენტია და აგრეთვე იმავე პარტიის წევრი, რომელიც ერთი მომხრეთაგანი იყო ბოლშევიკების მოქმედებისა ამ პარტიაში. [illegible] ში აღმოაჩნდა მოწმობა, მიცემული მინისტრთა თავმჯდომარის მიერ, რომ იგი „მზვერავი რაზმის" უფროსის თანაშემწეა.

ინჟინერი ჰაჯი-ბეკ სეილბეკოვი, აზერბაიჯანის რკინის გზების ტელეგრაფის უფროსია და ცნობილი იყო, როგორც ჩუმი და გამოცდილი მუშაკი.

ლოლობერიძე დაუყოვნებლივ გაგზავნეს სავადმყოფოში. მისი მდგომარეობა საშიშია.

მომხდარი ფაქტის გამო, ბაქოს მუშათა კონფერენციამ გლოვა გამოაცხადა.

**სამხრეთ-დასავლეთი აზერბაიჯანი.**

მინისტრთა თავმჯდომარემ ნ. ბ. უსუბეკოვმა, ერევნის გუბერნიის მაჰმადიანთა ერობისგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„მაჰმადიანობით დასახლებულ ვედიბასარისა და სურმალინის რაიონების სომხეთთან დამორჩილება ყოვლად შეუძლებელია. ადგილობრივ მაჰმადიანობამ მორწყო რა სისხლით ყოველი მტკაველი მიწისა, უფლება მოიპოვა თვითონვე ზემოხსენებული ადგილი სამშობლო-აზერბაიჯანს შეუერთოს. სვინდისი თვითეულ მაჰმადიანისა მოითხოვს რათა ბეღუქ-ვედის დამცველთა სისხლმა უქმად არ ჩაიაროს ამიტომ, მაჰმადიანთა საერობო ყრილობა თქვენს აღმატებულებას, სთხოვს დაჟინებით დაიცვათ, რათა ვედიბასარის რაიონი და სურმალინის მაზრა ჩაჰყვეს ნეიტრალ ზონაში."

## სომხეთი

სომხეთის პარლამენტი ენკენისთვის 4.

**საქართველოს წარმომადგენელი.**

ენკენისთვის 4-ს პარლამენტის სხდომას დაესწრო საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთში გერ. მახარაძე, თავმჯდომარემ, დღიურ წესრიგზე გადასვლამდე, მისასალმებელი სიტყვით მიმართა წარმომადგენელს.

აღნიშნა რა ინტერესთა ერთიანობა სთქვა, რომ ქართველი და სომეხი ერი ისტორიული მეზობლობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. იგი იწუხარებს გამოთქვამს იმ კონფლიქტის გამო, რომელიც ამ ორიოდე ხნის წინად მოხდა, მაგრამ აღნიშნავს, რომ ეხლა ეს გაუგებრობა გაფანტულია და ორ მთავრობათა შორის ინტერესთა წინააღმდეგობა არ არსებობს, ორივე მთავრობა სდგას დამოუკიდებელ არსებობის ნიადაგზე. თუ [illegible]

ამაზე საქართველოს მთავრობამ [illegible] ნოტით მიჰმართა სომხეთს და ჰპირდა, რომ ძალით ნეიტრალურ ზონას არ გადაშლახავს; ამ რიგად ეს საკითხი დროებით გადაჭრილია. მოლაპარაკებანი თბილისში ნეიტრალ ზონის შესახებ ეხლა ალბად ნორმალურ კალაპოტში ჩადგება.

**როდის უნდა დამთავრდეს საზავო კონფერენციის შრომები.**

ამერიკულ დელეგაციის გამოურკვევია, რომ საზავო კონფერენციის მუშაობა, (ოსმალეთის საკითხის გარდა) უნდა დამთავრდეს 1-ლ ღვინობისთვის. მუშაობის დამთავრების შემდეგ უნდა შესდგეს ერთი პატარა კომისია, რომლის მიზანი იქნება ოსმალეთის საკითხის განხილვა. ამ კომისიის მუშაობამ, შეიძლება, რამოდენიმე თვე გასტანოს. („ნ. აზ.")

## აფრიკის დათვალიერება

გაზეთების ცნობით ჰერცოგი აბრუცისა, პირებს აფრიკაში მოგზაურობას, ის უმთავრესად ინახულებს იმ პროვინციებს, რომელთაც ნაკლებად იცნობენ.

ჟენევის გაზეთების ცნობით რუმინიამ შეურაცხყოფად მიიღო უმაღლეს საბჭოსაგან გადაცემული ნოტა. რუმინიის ამ ნოტაზე ჯერაც არ გაუცია ოფიციალური პასუხი, მაგრამ რუმინის პრესა გაცხარებით აღნიშნავს, რომ რუმინია არასოდეს არ გადაიხდის ოკუპაციით მიყენებულ ზარალსო.

## გერმანელები და პოლონელები

(გერმან. რადიო).

ზემო-სილეზიაში ვითომდა გერმანელების მიერ ჩადენილ სიმხეცის შესახებ მოსულმა უკანასკნელმა ცნობებმა საბაბი მისცა პოლონეთს, რომ თავისი ჯარი შეეყვანა. აღნიშნული იყო, გერმანელთა მიერ პოლონელ მცხოვრებთა შევიწროება. ამბობდნენ აგრეთვე თითქოს 10,000 კაცზე მეტი პოლონელი იქნა წაყვანილი გერმანიაში და 6,000 მეტი ციხეში დაპატიმრებული. ეს ცნობები სიმართლეს არ შეეფერება.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, პოლონელები გერმანელებზე ცრუ ხმების გავრცელებით ცდილობენ მთელი ქვეყნის მოტყუებას, რათა მათ საკუთარ მოქმედებაზე არავის არ მიექცია ყურადღება. მაგალითად, 18 აგვისტოს პლესის ადგილებში გერმანიის რაზმის 13 კაცი იქნა მოკლული პოლონელთაგან.

## აზერბაიჯანი და მოხალისენი

თუმცა ზოგიერთი გაზეთის ცნობების მიხედვით აზერბაიჯანისა და მოხალისეთა სარდლობის შორის შეთანხმების ფაქტია, მაგრამ [illegible]

[illegible]

## ლენინის წერილი

„ლ'ჰუმანიტე" იუწყება, მარტენს ლენინისაგან მიუღია წერილი, რაშიაც მწუხარებას გამოსთქვამს პროლეტარიატის ეგოიზმზე და სთხოვს მარტენს, რომ გავლენა მოახდინოს რუსეთის ბლოკადის შესამცირებლად.

„თუ ჩვენ შევსძლებთ ხალხის გამოკვებას — მაშინ კოლჩაკი სრულიად აღარ შეგვეშინდება", სწერს ლენინი წერილში.

## ახალი აჯანყება დაღესტანში

როგორც პეტროვსკიდან იუწყებიან, დაღესტანში ხელახლად მოხდა აჯანყება თემირ-ხანშურის მიდამოებში (თუფხარა-დარშის და ლევაშის და აკუშის სანახებში). აჯანყების ჩასაქრობად გაიგზავნა მოხალისეთა დიდი რაზმები. ამ რაზმებს უერთდებიან ადგილობრივი მცხოვრებნიც მოხალისეებად.

მოხალისეებს ჰგონიათ, რომ აჯანყებას 5—6 დღეში აუცილებლად ჩააქრობენ.

## უკრაინული ენა საბჭოთა რუსეთში

თუ რა მდგომარეობაშია უკრაინული ენა საბჭოთა უკრაინაში სჩანს იმ ბრძანებიდან, რომლითაც უკრაინის სამხედრო სახალხო კომისარმა ასდვისკიმ მიჰმართა დიბენკოს. ეს ბრძანება დაბეჭდილია როსტოვის გაზ. „ჟიზნის" № 305, „იმ დეპეშაზე, რომელიც გზათა სახალხო კომისარმა დნეპრის დივიზიის უფროსს გაუგზავნა უკრაინულ ენაზე და რომელიც ქვანახშირის მოტანას ეხებოდა, დიბენკომ უპასუხა რომ შტაბში არავინ არ იცის „სახოხლ"-ურად კითხვა. ვთვლი რა მეტად შეუფერებლად ასეთს არა სერიოზულ ყურადღებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხსადმი როგორც არის რკინის გზათა ქვანახშირით უზრუნველ ყოფის საკითხი, მით უფრო რომ საბჭოთა რუსეთში უკრაინული და რუსული ენა ცნობილია თანასწორ უფლებიანი ენად სასტიკ გაკიცხვას უცხადებ ამხ. დიბენკოს."

## ესტონეთის და საბჭოთა მთავრობის მიწერ-მოწერა

(ბოლშ. რადიო)

ესტონიის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრის რადიოტელეგრამა 1919 წ. ენკ. 4.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს: თქვენს რადიო დეპეშაზე მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ვინაიდან ესტონიასა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის შორის სამხედრო მოქმედება გამოიწვია რუსეთის შეიარაღებული ძალების ესტონიის საზღვრებში შემოჭრამ, ხოლო მებრძოლ მხარეთა შორის ომის განვითარების გამო სამხედრო მოქმედება რუსეთის საზღვრებში გადავიდა არა რაიმე დაპყრობითი მიზნების გამო ესტონიის ხალხის მხრით, არამედ მხოლოდ თავდაცვის მიზნით, ამიტომ, თუ ამ ჟამად რ. ს. ფ. რესპუბლიკა საჭიროდ სცნობს უმიზეზოდ დაწყებული ომი შესწყვიტოს, ესტონიის მთავრობაც არავითარი დაბრკოლებას არ ჰხედავს მოლაპარაკების დაწყებაში. ამისთვის, ესტონელის რესპუბლიკა წინადადებას იძლევა აღნიშნული მოლაპარაკება მოხდეს ქალ. პსკოვში და ჰფიქრობს, რომ მოლაპარაკება შეიძლება დაიწყოს ენკ. 10, გარდა ამისა პასუხს, აგრეთვე ცნობას ესტონეთის ფრონტზე დელეგატების გაშვების შესახებ. გარეშე საქმეთა მინისტრი პოსკა. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის რადიოგრამა. ენკ. 6 1919 წ. ქ. რეველი გარეშე საქმეთა მინისტრი პოსკას: რუსეთის საბჭოთა მთავრობა პროტესტს აცხადებს იმ პოლიტიკის გამო, თითქო სამხედრო მოქმედება ესტონეთსა და რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შორის გამოიწვია რუსეთის შეიარაღებული ძალების ესტონეთში შეჭრას, სადაც არსებითად სწარმოებდა ბრძოლა მშრომელ კლასთა და ბურჟუაზიის შორის. რუსეთის მთავრობა რეველის მთავრობის წინადადებას იღებს პსკოვში საზავო მოლაპარაკების შესახებ და რეველის მთავრობის წინადადების თანახმად განკარგულება მოახდინა მათ მიერ დანიშნულ დელეგატები იზბორსკ-პსკოვის გზატკეცილზე გაშვებულ იქნან. გარეშე საქმეთა კომისარი ჩიჩერინი.

## დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ენკენისთვის 9.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი.** ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი.

**ჩრდილოეთის ფრონტი** ენკენ. 7, ჩვენმა ჯარმა პეტროპავლოვსკოე დაიჭირა, განდევნა მტრის ცხენოსანი ჯარი და მდ. კადიშამდე მიაღწია. რკ[ინის] გზის მიმართულებით ჩვენ მდინარე ამცაზე გადავედით. ფინეთის საზღვრით ჩვენი შეტევა ჩვენ სასარგებლოდ გრძელდება.

**დასავლეთის ფრონტი.** ვილეიკის მიმართულებით ჩვენი შეტევა კარგად მიდის.

**სამხრეთ დასავლეთის ფრონტი.** ჩვენი ნაწილი იძულებული შეიქნა ოლევსკის აღმოსავლეთით 20 ვერსით უკან დაიხიათ. კორესტენის მიმართულებით ჩვენ მტერი უკუ ვაგდეთ. ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და ჩერნიგოვის სამხრეთით 30 ვერსზე სოფლის ხაზები დაიჭირა.

**სამხრეთის ფრონტი.** კონოტოპის და სად. კორენევოს შუა ჩვენი ჯარი მდ. სეიმის მარჯვენა მხარეზე გადავიდა და სამხრეთისაკენ უტევს. ჩვენ სადგური პუტივლი და რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ჩვენ ნოვო-ოსკოლი დავსტოვეთ. ცარიცინის რაიონში ჩვენმა ჯარმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ სადგ. კოტლუბანი დაიჭირა და ორი ჯავშნიანი მატარებელი ხელთ იგდო. მდ. ვოლგას მარჯვენა მხარეზე ცარიცინის ჩრდილოეთით 10 ვერსზე ბრძოლა გრძელდება.

**თურქესტანის ფრონტი.** ჩვენი ჯარი აკტიუბინის დასავლეთით ქალაქ ტემირს უტევს.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ჩვენი ჯარი ჩასტო-ოზერსკოე-პეტროპავლოვსკის გზის მიმართულებით მტერს ავიწროვებს. ჩვენი ჯარი მდ. ტობოლზე გადავიდა და იშიმის რკინის გზაზე შეტევას აწარმოებს. ტობოლის რაიონში იშიმისკენ წინ წავიწიეთ.

**გენ. დროზდოვი**

**კურსკი.** ენკ. 8. სუმასთან ბრძოლის დროს მტრის დროზდოვის მეორე და მეოთხე პოლკები გავანადგურეთ. გენერალი დროზდოვი თავისი ნაწილებით №-ის ჯარმა დახოცა.

**მოლაპარაკება რეველისა და საბჭოთა მთავრობის შორის**

**მოსკოვი.** ენკენისთვის 8. საბჭოთა მთავრობამ რეველის მთავრობის წინადადება მიიღო პსკოვში საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ და განკარგულება მოახდინა რეველის მთავრობის მიერ დანიშნული დელეგატები ენკ. 10 გაუშვან იზბორსკ-პსკოვის გზატკეცილზე.

**ბოლშევიკების გამარჯვება**

**ჩერნიგოვი** ენკ. 6 ბოროვოსთან და სარნასთან მტერი ძლიერ დამარცხდა, დაელუპა ორი პოლკი და მრავალი სამხედრო ქონება. მტერი ვოლინის ჭაობებში მოემწყვდა №-ის არმიის მარჯვენა ფლანგზე მტერი დამარცხდა და ცხენოსანთა პოლკი დაელუპა. მტრის წინსვლა ჩერნიგოვისკენ შეჩერებულია. ნეჟინისაკენ მტერი უკუ ვაქციეთ. ჩვენი გმირული გამარჯვების გამო №-ის არმიის სულიერი განწყობილება განმტკიცებულია.

**ფინური პრესა რუსეთზე.**

გაზ. „ტაიმს"-ი იუწყება, „პეტროგრადის დაჭერა მომავალი წლის გაზაფხულამდე შეუძლებელია. ესტონელები საბჭოთა რუსეთზე შეტევაზე არ სთანხმდებიან, ფინეთის მონაწილეობა კი, მანერჰეიმის წასვლის შემდეგ საეჭვოა". გაზეთი ჰფიქრობს, რომ ბოლშევიკები პსკოვზე ენერგიულ შეტევას დაიწყებენ, ფრონტის გასარღვევად.

**გერმანელ-ინგლისელთა შეტაკება ეიხციხენში.**

**ლიონი** ენკ. 8. ეისციხენში, კელნის სამხრეთით, გერმანელების ჯარისკაცთა რაზმი თავს დაესხა ინგლისელების ჯარის კაცებს. ინგლისელებმა ქალაქ ეისციხენს დიდი ჯარიმა დაადეს. თავდასხმის ხელმძღვანელ მუშას დახვრეტა გადაუწყვიტეს. შეერთებულმა შტატებმა მოკავშირე მთავრობებს აუწყეს რომ პერის გაგზავნა ნახევრად შემცირებულ იქნება.

**შვეციის გემები.**

**ნაუენი,** ენკ. 7 შვეციის გემი „ფრეია" ფინებმა განგაში წაიყვანეს, რადგან მას პეტერბურგში საქონელი მიჰქონდა.

**უნგრეთი და მოკავშირენი.**

**კოპენჰაგენი,** სექტ. 4. მოკავშირეებს სურთ უნგრეთის მართვა-გამგეობა თავის ხელში აიღონ. უნგრეთში საერთო უკმაყოფილება ძლიერდება. რუმინელებმა, მოკავშირეთა თანხმობით, უნგრეთის ყველა ოფიცერი დააპატიმრეს ბუდაპეშტში. მამონტოვის ტყვეებისა და გამოქცეულთა გამო კითხვით გამოირკვა, რომ ტამბოვზე დაცემით მოემზადებია მთავარ დენიკინის ძალების თავდასხმა და მით ცდილიყო ტამბოვის ნაწილი გაეთიშა საბჭოს ჯარის ზურგის ნაწილებისაგან, მაგრამ მან მიზანს ვერ მიაღწია. მამონტოვსა და დენიკინის შორის წითელი ჯარი ჩადგა. იმის მაგიერ რომ მამონტოვს გაყოლოდა დენიკინი იძულებული შეიქნა უკან დაეხია. მამონტოვს არ შეუძლია დენიკინისკენ გაჭრას. მამანტოვი ჩვენ დავიჭირეთ და დენიკინის მთავარ ძალას ჩამოვაშორეთ. მამანტოვი შეეცადა დენიკინთან დაბრუნებულიყო, მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ის მიიწევს არა მიტომ, რომ ეს მას სურს არამედ იმიტომ, რომ ჩვენ მას ვდევნით.

**კურგანის რაიონი.**

კურგანის რაიონში, პეტროპავლოვსკის მიმართულებით, რკინის გზის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება. რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი მტერს ავიწროებს. იალუტოროვის რაიონში იშიმენის რკინის გზაზე ჩვენი ჯარი უტევს. ტობოლის რაიონში ჩვენ ირტიშზე წინ წავიწიეთ.

**ახალი ციმბირი.**

**რეველი.** ენკ. 3. მის შემდეგ რაც ბოლშევიკებმა პროფესიონალ. კავშირების ყრილობაზე მიიღეს რეზოლიუცია, სადაც გამოცხადებული იყო მთავრობის გაკიცხვა და პროლეტარიატის დიქტატურის მხარის დაჭერა და 1000 კაცის ყრილობა დასტოვა, თავდაცვის რაზმი ყრილობის შენობას გარს შემოერტყა. პოლიციის წარმომადგენელმა ყრილობა დახურა, შემდეგ შიგნით მყოფები აწერა. კონგრესის წევრების უმეტესი ნაწილი გაანთავისუფლეს. ასი კაცი მაინც დააპატიმრეს და ბალტიის სადგურზე გაჰგზავნეს, სასწრაფო მატარებელში მოათავსეს და აღმოსავლეთ საზღვრისკენ წაიყვანეს. დაპატიმრებულთა სულიერი განწყობილება პირველად მძიმე იყო, რადგან ყველა ფიქრობდა, რომ მათ კონცენტრაციულ ბანაკებში გაგზავნიდნენ. მაგრამ ისინი ძლიერ გაკვირვებული დარჩნენ, როდესაც გაიგეს, რომ მათ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისკენ აგზავნიდნენ. გამოგზავნეს 102 კაცი. გარეშე საქმეთა მინისტრმა, სოციალისტმა გენოდიმ გაზეთ „ვაბა-მაა"-ს თანამშრომელს განუცხადა, რომ გაგზავნილია მხოლოდ ის პირები, რომლებზედაც დანამდვილებით ვიცოდით, რომ ისინი კომუნისტური პარტიის წევრები არიან და ესტონეთის მთავრობის და რესპუბლიკის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა. შემდეგ მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მომავალშიც ყველა იმ პირებს, რომლებიც დაამტკიცებენ თავის მტრულ განწყობილებას ესტლიანდიის მიმართ, ასევე გადაასახლებენ.

**„ტაიმსი" და ვილჰელმი**

**ლონდონი.** სექ. 2. „ტაიმსი" იუწყება, რომ მიუხედავად ბონარ ლოუს მტკიცებისა, იმპერატორ ვილჰელმის საქმე სასამართლომდე არ მივა. ძნელი შესადგენია ავტორიტეტული და მიუდგომელი სასამართლო, აგრეთვე ჰოლანდია ვილჰელმის გაცემაზე ოფიციალურ უარს გააცხადებს, რომ შემდეგ მოკავშირეები ძალას არ დაატანენ.

**მამონტოვის რაზმი.**

**რიაზანი,** ენკ. 8 რიაზანის გუბერნია მამონტოვის რაზმისაგან სრულიად გაიწმინდა.

**ყუბანი და დენიკინი.**

**სამარა,** ენკ. 5. ყუბანი საბჭოთა მთავრობასთან ბრძოლაში ჩაბმას დენიკინის ძალდატანებით შედეგად სთვლის. ყუბანის მცხოვრებნი საბჭოთა მთავრობას თანაუგრძნობს. ნევინომისკში ყაზახთა აჯანყება მოხდა. აჯანყება პურის შეკრების და ინგლისში გაგზავნის ნიადაგზე მოხდა. აჯანყება სიმკაცრით იქმნა ჩაქრობილი. ყაზახთა შორის უთანხმოება იზრდება.

**მოკავშირეთა დიქტატურა უნგრეთში**

**კოპენჰაგენი** ენკ. 4. ვენიდან „ბერლინერ ტაგებლატს" დეპეშით აუწყობენ, რომ უნგრეთში მოკავშირეების სრული დიქტატურა გამოცხადდება, რადგან უნგრეთის მთავრობამ ვერ გამოიჩინა ძალა ქვეყნის პარლამენტარული მართვა-გამგეობა მოეწყო.

**შვეიცარია**

**ლიონი** ენკ. 7. მიღებული ცნობებით, შვეიცარია მონარქიულ ინტრიგების ბუდედ გადაიქცა.

**სამხრეთი ფრონტი.**

**მოსკოვი.** ენკ. 8. ყიზლიარის მიმართულებით მტერი შეეცადა ბაშმაჩაგოვსკზე შეტევას (ასტრახანიდან სამხრეთ-დასავლეთით 80 ვერსზე), მაგრამ უკუ ვაგდეთ. კრასნო-იარის მიმართულებით, კრასნოიარიდან 30 ვერსზე, ბრძოლაა. ურალის რაიონში მდ. ურალის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი ჯარი მტრის ცხენოსან ჯართან იბრძვის ბუდარინის ფორპოსტის ჩრდილოეთით, ლბიშჩენსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 30 ვერსზე, ორენბურგის რაიონში, აქტიუბინსკის სამხრეთ-და-

სავლეთით ტემირის მიმართულებით ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს.

**სპარსეთის შაჰის მოგზაურობა**

**ლიონის რადიო სადგურის ცნობა.** სპარსეთის შაჰი, რომელიც სტამბოლიდან ინგლისის კრეისერით ტორენტოში მოვიდა, აქედან რომსა და შვეიცარიაში გაემგზავრა, სადაც ის რამდენიმე ხანს ჰფიქრობს დარჩენას.

**ლოიდ ჯორჯი პ ა რ ი ზ შ ი**

„ტანი"-ს აზრით, მომავალ კვირაში ლოიდ ჯორჯის პარიზში მოსვლას მოელიან. მან კლემანსოსთან ერთად უნდა გაარკვიოს ზოგიერთა საკითხები საფრანგეთ-ინგლისის შესახებ.

**გერმანელთა გაზების გამოყენება**

კოპენჰაგენიდან მიღებულ ცნობებით, გერმანელების მიერ გამოგონილ გაზების წყალობით, საშუალება ეძლევა ქვეყანა ბუზებისა და სხვა მავნე წვრილისაგან განთავისუფლდეს. საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიამ განაცხადა, რომ იმ ცდის წყალობით, რომელიც აკადემიის გამოჩენილმა წევრებმა მოახდინეს, გერმანელთა მხრჩოლავი გაზის გადამუშავების დროს მიიღეს ისეთი გაზი, რომელიც სრულიად სპობს ბუზებს და ბაღლინჯოებს. ამ გაზის საფუძველი „ხლოროპიკრინი" - დან გამოდის. თუ ამ გზით სავსე აპარატს შეიტანთ სადგომში, სადაც მწერები არიან, გაზი დაუყოვნებლივ სპობს მათ. ეს გაზი მწერთა კვერცხებს ვერ სპობს, მაგრამ თუ ეს ცდა 4 დღის შემდეგ განმეორებულ იქნა, მაშინ ისინიც ისპობიან. თუ თითო მწერებმა არ გამოიმუშავეს თავის ორგანიზმში რაიმე საწინააღმდეგო საშუალება გაზისგან თავდასაფარავად, მაშინ გაზის ღირსება მხოლოდ მის სისქეზეა დამოკიდებული. ხლოროპიკრინის 15 მარცვალი ჰაერის ყოველ 1 კუბიკურ იარდზე მათ სპობს ერთი მარცვალი ჰაერის ამავე ზომაში მათ ათი საათის შემდეგ ჰკლავს. აკადემია სწუხს, რომ ეს აღმოჩენა ყველგან არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ ჟამადვე რადგან ხლოროპიკრინი სამხედრო უწყების ხელშია, ვინაიდან მისგან აკეთებდენ მხრჩობელ გაზებს, რომელიც ომის უკანასკნელ ხანებში ხმარობდენ.

**გენ. პერშინგი**

გენ. პერშინგმა, საფრანგეთიდან წასვლისას, საფრანგეთის წითელი ჯვრის საზოგადოების განკარგულებაში გადასცა 94,623 გირ. სტერლინგი ომში დაღუპულ საფრანგეთის ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოდ.

## ბოლშევიკური ცნობები

**ბოლშევიკების გამარჯვება.**

**მოსკოვი.** ენკენისთვის 6. ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი. ჩვენი წითელი არმია მტერს სასტიკად ამარცხებს. ჩვენი წითელი სიტყვა მტრის ზურგის უკან თავის მიზანს აღწევს, ახლოვდება გამარჯვების საათი.

**ყ ი ზ ლ ი ა რ შ ი.**

**სამარა** 4/9. გამოქცეულთა სიტყვით ყიზლიარის მიდამოებში თავმოყრილია 5000 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც თავგამოდებით ებრძვის დენიკინს. ინდიუკის (.) მთის კალთებში პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებს 12.000 კაცისაგან შემდგარი რაზმი. ტუაფსე რაიონში ისინი შეუერთდენ ტამოსელებს და საერთო ძალით ებრძვიან დენიკინს. აღნიშნული რაზმა მუდამ დღე ემატებიან დენიკინის ჯარიდან გამოქცეულნი, ყოფილი ტყვე რუსები, რომელთაც საფრანგეთიდან უგზავნიან დენიკინს ბოლშევიზმთან საბრძოლველად. ეს რაზმები დიდ საფრთხეს უმზადებენ დენიკინს, ვინაიდან მის ზურგში უკან აფუჭებენ გზებს, ტელეგრაფს, ანგრევენ ხიდებს და ზოგჯერ არკვევენ შეტაკებებში, როგორც ეს მოხდა ნოვოროსიისკის მახლობლად, სცობნიან დენიკინელებს.

**ორსკ-აქტიუბინის მიმართულებით.**

**სამარა.** 5/9. ორსკ-აქტიუბინის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ტყვეთ წამოიყვანა 2000 ტყვე, 17 ტყვიის მფრქვეველი 2000 ვინტოვკა, 100 (.) ზარბაზანი, 228 ცხენი, 2000 ყუმბარა, 11 სამგზავრო სამზარეულო, დიდძალი ასაფეთქებელი მასალა, 685.000 პატრონი, 50 ავტომობილის შინები.

**გამოქცეული კომუნისტები.**

**პეტერბურგი.** 5/9. პეტროგრადის პროლეტარიატმა დიდის ზეიმით მიიღო ესტონეთიდან გამოქცეული კომუნისტები. შეხვედრას გრანდიოზული დღესასწაულის ხასიათი მიეცა.

**მუშათა საბჭოები ავსტრიაში**

**ბელო-ოსტროვი** 3 ენკენისთვე. ფინური გაზეთი „კარიალა ამულისტი" ცნობებს იძლევა ავსტრიის მთავრო-

ბის მიერ გამოცემულ დადგენილებათა შესახებ, რომლის მიხედვით კანონმდებლათ ავსტრიაში მუშათა საბჭოები უნდა შეიქმნას. ყველა საწარმოვო დაწესებულებაში, სადაც ითვლება არა ნაკლებ 20 მუშისა. მემამულეთა პროტესტების გამო მიწის მუშებს არ ეხება ახალი კანონი. საბჭოთა მოვალეობას შეადგენს დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშათა ინტერესებს ეკონომიურ და ინტელექტუალურ საკითხებში; თვალყური ადევნონ მუშათა და მწარმოებელთა შორის დადებულ ხელშეკრულებათა აღსრულებას, მონაწილეობა მიიღონ მომრიგებელ კომისიათა შედგენაში, კონფლიქტის დროს მუშის ხელფასი და შრომის განაწილება დამტკიცებულ უნდა იყოს საბჭოთა მიერ. საბჭო უნდა უთვალყურებდეს მუშათა ჯამრთელობას და უშიშრობის საკითხს; მუშათა მიერ სახელმძღვანელო დადგენილებანი უნდა შეიმუშაოს კომისიამ, რომელშიაც შედიან საბჭოებისა და მწარმოებელთა წარმომადგენელნი. თვეში ერთხელ მაინც, მწარმოებელთა და მუშათა საბჭოების მიერ უნდა გაიმართოს თათბირი საწარმოვო დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აქციონერულ საზოგადოებათა კომიტეტში საბჭოები აგზავნიან ორ-ორ დელეგატს.

**ალბანელთა აჯანყება**

**ბაუენი.** სექტ. 5. აგვისტოს დამლევს დაიწყო ალბანელთა აჯანყება იტალიელთა წინააღმდეგ. აჯანყებამ ზვიადი ხასიათი მიიღო. თავდასხმა ჰქონდა იტალიელთა მეცხოვრე რაზმებზე. აღნიშნული რაზმები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ მათ მიერ დაჭერილი ადგილები და უკუქცეულიყვნენ. ვალონაში თავმოყრილია იტალიელთა დიდძალი ჯარი ალბანელთა წინა ღმეგ საბრძოლველად. ალბანიის განზრახვა აქვს მემორანდუმით მიმართოს პარიზის კონფერენციას და მოითხოვოს მისთვის სრული დამოუკიდებლობა.

**სამხედრო ცნობები.**

**ჩრდილოეთის ფრონტი.** გრძელდება ჩვენი ჯარების წინსვლა ფინეთის საზღვრების გასწვრივ.

**დასავლეთის ფრონტი.** გრძელდება ჩვენი წინსვლა. მდინარე პლიუსის (?) ნაპირებზე მდინარე ვოიმას ნაპირებზე ჩვენ ავიღეთ მთელი რიგი სოფლებისა. ბრძოლა სწარმოებს სადგურ ზრიბოტინის (?) გარშემო. ბ-ბრუისკის მიმართულებით ჩვენი ჯარები უკან იხევენ, დავტოვეთ ოლევსკი (?) კოლოსტენის მიმართულებით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის მედგარი იერიშები.

**სამხრეთის ფრონტი.** სუდჟის მიმართულებით ჩვენი წინსვლა ვითარდება. ტყვეთ წამოვიყვანეთ 300 კაცი. ჩვენმა ჯარებმა აიღო ნოვი ოსკოლი. წითელმა გმირებმა აიღეს ქ. ტიმოლსკი.

**პლატენის დაპატიმრება**

**ბერლინი.** ენკენისთვის 2. გაზეთ „ფრეიგაიტის"-ს ცნობით შვეიცარიის ნაციონალურ საბჭოს წევრმა გრიმმა მიმართა პოლიტიკურ დეპარტამენტს წინადადებით დაუყოვნებლივ აღძრულ იქნეს შუამდგომლობა რათა განთავისუფლონ ბუდაპეშტის მახლობლად რუმინელთა მიერ დატყვევებული ამხ. პლატენი.

**ესტონეთი და საბჭოთა რუსეთი**

**პეტროგრადი.** ენკენის 5. ესტონელ ამხანაგთა შეხვედრის დროს სმოლნიში გამართულ გრანდიოზულ მიტინგზე ზინოვიევმა განაცხადა: „ესტონეთის მთავრობისაგან წინადადება მივიღეთ საზავო მოლაპარაკების შესახებ, რაიც დაწყებულ იქნება სულ ახლო მომავალში.

**რომანოვის მოქმედება.**

**პეტერბურგი.** ენკ. 6. გამოქცეულ ოთხი რიგვით რომანოვი დამსჯელი რაზმის საშუალებით გლეხთა მობილიზაციას აწდენს. გლეხები იმალებიან, ჯარში გაწვეულებს, უიარაღოთ დამსჯელი რაზმის თანხლებით, ფრონტზე გზავნიან.

## მოხელის მუშაობის „დაფასება"

(წერილი რედაქციის მიმართ)

4 ენკენისთვეს მეშვიდე უბნის კომისარმა ილარიონ გვალიამ ავლაბარში ალმოაჩინა სუმბათ თანდილიანცის სახლში საიდუმლოდ მოწყობილი თამბაქოს ქარხანა ხუთი ფუთი და 17 გ. ფოთოლი და ორი ფუთი და 19 გ. დაჭრილი და ბანდეროლ გადაუკვრელი თამბაქოთი, რომელზედაც ეთოლი ზომა აქციზი, გარდა ჯარიმისა და ციხისა, თანდილიანცმა კანონის ძალით უნდა გადაიხადოს სალაროს სასარგებლოდ 53360 მან.

გვალიამ თამბაქო და მანქანა დაჰქდა და 6 ენკენისთვის ოქმთან ერთად წარადგინა სააქციზო სამმართველოში.

ბ. გვალიამ ამ ქარხნის აღმოჩენით მილიონი შესძინა ხაზინას, ვინაიდან თანდილიანცი წელიწადში არა ნაკლებ 400 ფუთი თამბაქოს დასჭრიდა თავის ქარხანაში და ჩუმად გაჰყიდიდა, რასაც ადასტურებს 25 მარტში 250 [illegible]-ი აქციზის ინსპექტორის უფროსი თანაშემწე ოდიშარიას მიერ დაწერილი ოქმში ჩვენება დამნაშავე კარაპეტ ოჰანესის ძე კირაკოსიანცისა: „მე წარმომადგენელი ვარ თბილისის ერთერთი თამბაქოს საიდუმლო ქარხნისა, რომლის მესამართის ნებით არავის ვაჩვენებ" და თანაც დასძენს თბილისში ასზედ მეტია ასეთი ქარხნები მოწყობილი. დაჭრილი თამბაქოს მეტი წილი ჩუმათ სომხეთში მიდის. ფოთოლს მექარხნეები ყ დულობენ თბილისში და კახეთში კახეთიდან თამბაქო ქრთამ თ ჩამოაქვთ; თბილისშიაც მრავალ აჯგილასაა თამბაქოს საიდუმლო საწყობი, რომლის მისამართი მან არ იცის, ჩვენებაზე ხელს აწერს ქ. კირაკოზიანცი და მოწმეები.

ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ თბილისში საქციზოს რომელიმე მოხელეს ღვაწლი ამის მსგავსიც კი, გარდა ოდიშარიასი, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში საქართველოს სალაროს მოუტანა რამოდენიმე ათასი მილიონი მანეთის სარგებლობა; შეუცყვა სხვადასხვა კერძო პირებს ოთხასზედ მეტი ოქმები დიდძალი ბაჟი და აქციზ გადაუხდელი საქონლის ჩამორთმევით; ელო ჩინა თამბაქოს ლიდახუთი და ოთხიც კონიაკის საიდუმლო ქარხანა აუარებელი ქონებით.

მართალია, მცირე ნაწილი აღმოჩენილი ქონებისა მეცხრე უბნის კომისარიატის შენობაში ლპება წვიმის ქვეშ, მაგრამ ამაში მარტოდ-მარტო საქციზო სამმართველოს მიუძღვის დანაშაული. მერე, არ იკითხავთ რითი დააფასა საქციზო სამართველომ ამ მოხელის სამაგალითო შრომა? — სამსახურიდან გადაყენებით.

საქციზო სამმართველოს ეს უკანონო განკარგულება 4 მარიამობისთვეს დათხოვნილმა მოხელემ გასაჩივრა ფინანსთა მინისტრთან და მთავრობის თავმჯდომარესთან, რომელთაც მას აღუთქვეს დახმარება და საქმის გამოძიება.

მაგრამ, როგორც სჩანს, ბედი ბოლომდის არა სწყალობს ბ. ნ ოდიშარიას: „საქართველოს რესპუბლიკის № 199-ში ვკითხულობთ": „სრულიად დათხოვნილია სამსახურიდან თბილისის აქციზის ინსპექტორის უფროსი თანაშემწე კ. ოდიშარია ამა წლის 1 აგვისტოდან. 5) VIII 1919 № 148. ხელს აწერს ფინანსთა მინისტრი კანდელაკი.

საშინელია მდგომარეობა ადამიანისა, რომელმაც არ იცის რად ითხოვენ მას სამსახურიდან. ბ. ოდიშარიას ტიპის მოხელენი არც ისე უხვად არიან ჩვენს რესპუბლიკაში... ათეულ გადაკვრებული ჩექმებში ეს ადამიანი დაუცხრომლად დაძრწოდა თავის საქციზო უბანში და ყველგან, სადაც-კი შოისწრებდა და გამოაცხადებით დაეძებდა ნაქურდალ ქონებას ხაზინისათვის გადასაცემად. წელიწად შიგ ოჯახით დატვირთულ რესპუბლიკის ერთგულ მოხელეს უმოწყალოდ სდევნიან სამსახურიდან; რათა? რისთვის? იკითხება იდეალისტი მოხელე, მაგრამ მას პასუხის ღირსადაც არ ხდიან...

აღსანიშნავია მე-7 დე უბნის კომისრის გ. გვალიას მოღვაწეობაც, რომელიც ოდიშარიასთან ერთად შიშის ზარს სცემდა კონტრაბანდისტ ქურდებს. მათ ორთავეს დიდ დახმარებას უწევდა მილიციის უფროსი ბ. სულაქველიძეც. ორივე შეწუხებულია მუყაითი ინსპექტორის თანაშემწის დათხოვნით და ვერ გაუგიათ, ვისთვისაყო. მაინცა და მაინც საჭირო პატიოსანი მუშაკის ულუკმაპუროდ ქუჩაში გადაგდება!..

გარეშე.

## ნიკ. ყაზრიშვილი და საქართველოს მეურნეობა

ყველგან, ყველ გზა ჯვარედინზე გავიძახით, რომ საქართველო კულტურულად ჩამორჩა, ას ჩვიდმეტი წლის მონობამ მოადუნა ჩვენი შემოქმედებითი ინიციატივა, რუსეთის მთავრობა ისეთ პირობებში გვაყენებდა, რომ კულტურულ-ეკონომიურ საშუალებათაგან შორს ვიყავით და ეკონომიურ დარგებისათვის გამოსადეგი ჩვენი ქვეყანა ისევ პირველყოფილ სანახაობას წარმოადგენს, ისევ ნედლ მასალად რჩება. ჩვენს უყურადღებობას, ჩვენს ეკონომიურ დაცემას დღესაც ფანტასტიურ მიზეზებითა ვხსნით და ოდნავ ხელი ვერ შეგვიწყვია იმისათვის, რაც არსებობს. პირიქით, არსებულსა ვკბობთ და ხმების დაკლების შიშით ფიქრსა და ზრახვებს ვუსრულებთ ყველას, განურჩევლად კუთვნილებისა.

საქართველოს მეურნეობის ძლიერ დაცემა-დაქვეითების სხვა მაგალითთა გარდა დღეს უმთავრესად მხედველობაში მაქვს მანგლისის მხარის სოფ. მოხისში ათეული წლების განმავლობაში ნაამაგდარი და დღეს კი უგულოდ განიავებული ნიკ. ყაზრიშვილის მეურნეობა. ბევრ სხვა ქართველსაც (სიტყვით თუ წერილით) მიუქცევია ყურადღება ამ ევროპიულად განათლებულის და, მაშასადამე, ევროპიული ჯიშის მემამულის მეურნისათვის; ბევრს ჩვენ დიდ მოლვაწესაც დაუტკბია მისი მშვენიერებით თვალი და გული და ნ. ყაზრიშვილი ღირს შესანიშნავ კაცად ყოფილა. ჩვიდმეტიოდე წლის წინად თვით პეტერბურგული დღევანდელი პრემიერ-მინისტრი ნოე ჟორდანია რუსების ხიშტებს მორიდებული მთელი ზაფხული თავს იქ აფარებდა და დიდს სიხარულსა და აღტაცებასაც განიცდიდა საქმის ასე დაყენებისათვის. დიდი სიგრცის მიწის გადაბრუნება, მთელი თბილისის გუბერნიისათვის თვალსაჩინო ბაღჩის თესვა-მოყვანა, ყოველად საჭირო მანქანების ამუშავება, აფთიაქის ჯიშის წვრილ, თუ მსხვილფეხა საქონლის მოვლა-მოშენება, საუცხოვო რძის, კარაქის და ყველის გამოყვანა და მრავალი სხვა ერთი მეორეზე საოცრესი იყო. დღესაც რომ შევადაროთ იმ ახლო-მახლო სოფლების საქონელი მოშორებულ სოფელთა საქონელთან, უეჭველ ღრმა კონტრასტს შევამჩნევთ. ასე გააუმჯობესა გლეხთა საქონელი... ერთის სიტყვით ყველაფერი ყველასათვის სასარგებლო იყო, მაგრამ სწორედ ვერაფერის დამნახავმა ხალხმა ვერ დააფასა მისი ცხოვრება ამაგი, — და რაც უფრო სამწუხაროა, მთავრობის პირებმა თვით შეუწყეს ხელი ამ მდიდარი მეურნეობის საბოლოო განადგურებას. დიახ, შეუწყეს — მეთქი ვამბობ, რადგან სხვა არაფერი ითქმის იმ არაფრის მცოდნე კომისიისა, რომელმაც იგი არა კულტურულ შემოქმედად მონათლა და რომლის განაჩენი სიმართლედ იქმნა აღიარებული, რის შემდეგ ესოდენი მამული ადგილობრივ გლეხებმა უნდა გაიყონ და ეს დიდებული, მათთვის სასარგებლო საქმე თავისი ხელით საბოლოოდ მოსპონ...

ჩვენ გვაკვირვებს ერთი გარემოება: ამ მამულში ამიერკავკასიის სეიმის დროსაც (მაშინ ეს მამული ჯერ ნაწილ იყო აწიოკებული) იყო გაგზავნილი კომისია, რომელმაც იგი მეტად კულტურულ შემოქმედად იცნო. დღეს კი ასე მკვეთრად იჯერებენ ადგილობრივ მცხოვრებთა კომისიის აზრს და მას არა კულტურულად სთვლიან. მართალია, პირველი კომისიიდან დღევანდლამდე უფრო მეტად დაამსხვრიეს და გაანადგურეს, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ არსებულის დანგრევის ნიშნავს და არა მის უკულტურობას. მისი პატრონი დღესაც დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონეა, იგი ბეჯითად ადევნებდა ქვეყნის სამეურნეოს, და წინადაც არ მცნობნი და არც წინანდელი ყოფის ცოდნის მოყვარენი დღეს თვალის თვალით დაინახავდნენ, თუ როგორი ყოფილა და რა შეძლებია ნიკ. ყაზრიშვილის კულტურულ მარჯვენას.

ვფიქრობთ ძალიანდა ვწუხვართ და არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ასეთი გარემოება დიდხანს გაგრძელდება; საქართველოს კეთილისყოფის მსურველთ კი ამას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ და ჩვენი ქვეყანა ეკონომიური დაცემისაგან დაიხსნან..

მიხ. ხეჩინაშვილი.

## დამსახურებული მასწავლებელი

ოცდა თხუთმეტი წელიწადია, რაც მასწავლებლობს... თელავში და თბილისში კერძოდ და მთელ საქართველოში საზოგადოდ კარგად იცნობენ მის სახელს. ქართული კულტურის ხელოვნების თვალსაჩინო დარგში — მუსიკაში — და ქართული ენის მასწავლებლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის და სწორედ ამას მოანდომა მთელი თავისი სიცოცხლე. ქართველი ინტელიგენციის კარგა მოზრდილი ნაწილი მისი მამობრივი ხელშია აღზრდილი და მისი დანახვა ბევრს სიტკბოებით აგონებს ყმაწვილობის დღეებსა... მუდამ წყნარი, მოყვასი და მანუგეშებელი მზრუნველი დღესაც ასეთ ყოფაშია და არც ვინმე ამბობს მის შესახებ რამეს; მხოლოდ თუ დაასაქმებენ რამეზე, თორემ პატივისცემისაგან არავინ მოუწოდებს... და, რაც უფრო სავალალოა, ამ დამსახურებისა და სიბერის დროს, მასა და მის წვრილ ცოლშვილს ლუკმას უწყვეტავენ..

მოგეხსენებათ, მრავალი სამოსწავლო წლიდან წმ. ნინოს სასწავლებელი და ქალთა ინსტიტუტი შეაერთეს და დირექტორად ალ. წერეთელი დანიშნეს. ამრიგად შეიქმნა ერთ-ერთის პარალელი კლასები, რისთვისაც დირექტორმა საჭირო მასწავლებლები მოიწვია, და მტაცეს გარეშე დასტოვა ეს დამსახურებული მასწავლებელი, რომელიც სწორედ ერთ ამ შეერთებულ სასწავლებელთაგანში დღევანდლამდე ოცდაათი წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ მსახურებდა; ადგილს კუთვნილებაზე ცოტაოდენი გამოცდების შემდეგ კარვა გაკვეთილი შეითავაზა, რაც, ჩვენის აზრით, დაცინვასაც კი უდრის... ეჭვი არ არის, დღევანდელ პირობებში მოხუცი მასწავლებლისათვის ეს დამაკმაყოფილებელი არ იყო და იგიც ჯერ-ჯერობით გარეთ, უთავშესაფაროდ დარჩა..

ეს დამსახურებული მასწავლებელი გახლავთ ყველასათვის ცნობილი ზაქარია ჩხიკვაძე. .

მხოლოდ ჩვენ არ ვიცით, ახალი დირექტორი იცნობს კი მას?!

ჩვენ იქვე გვეპარება..

მიხ. კიაზოშვილი.

## ცილისწამებისათვის

საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობას, აწ უკვე ყოფილმა წევრმა ილარიონ ცქვიტინიძემ კავშირის წევრთა საერთო კრებაზე თიბათვის ბოლო რიცხვებში ბრალი დასდო რამდენიმე ფუთის შაქრის „სადღაც გაქრობაში" და „ერთობის 154 ნომერში მოათავსა წერილი სათაურით: „ბოროტ მოქმედება თბილისის ქართვ. დაჭრილთა კავშირში". ეს საქმე ჯერ კავშირის საამხანაგო სასამართლო გაარჩია და ი. ცქვიტინიძე ცილის წამებისათვის გაიძევა კავშირის წევრობიდან; ენკენისთვის პირველს ესევე საქმე გაირჩა თბილისის მე 13-ე უბნის სამომრიგებლო სასამართლოში. მომრიგებელმა მოსამართლემ ილარიონ ცქვიტინიძე დამნაშავეთ სცნო ცილის-წამებაში და მიუსაჯა მას შვიდი დღით დაპატიმრება.

## ქართველ მუსიკოსთა მიმართ

იმ ძნელ პირობებში, რომელშიაც მუშაობს ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობა და არსებულ მასთან სამუსიკო კოლეგია, უკვე დაიწყო ქართულ მუსიკის დამუშავება, შესწავლა და საზოგადოდ, ჩვენი სამუსიკო ხელოვნების აღორძინება. თვით ცხოვრების ვითარებამ გაგვისწრო კიდეც და ნოყიერ მუშაობაში ხელს გვიშლის გამოცდილ მუსიკოსთა უყოლობა: არა გვყავანან მომღერლები, დამკვრელები, ორკესტრანტები და ხელმძღვანელნი მდიდარი ქართულ სამუსიკო ლიტერატურის დასამუშავებლად. ყოველი მცოდნე მომუშავე და ხელის შემწყობი ამ დარგში უეცილებელ საჭიროებას შეადგენს დასახულ მიზნის მისაღწევად და ამიტომ ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობა იწვევს ყოველ მუშაკს და ჩვენი საზოგადოების თანამოაზრეთ შეიკრიბნენ მშობლიურ სამუსიკო ხელოვნების დროშის ქვეშ და მხნედ ჩასჭიდონ ერთიერთმანეთს ხელი საზოგადო საქმის გასაძღოლად. მოგვაწოდეთ მასალა, ცოდნა, სახსარი და ცნობები შესახებ ჩვენი მუსიკის მდგომარეობისა.

ქართული სამუსიკო კოლეგია გულთბილად ხვდება და კარს უღებს ყველას, ვისაც სურს შეეწიოს ჩვენი მუსიკოსთათვის და მოუზღავს შრომას ქართულ მუსიკის აყვავებისათვის.

გამგეობა.

## წერილი აფხაზეთიდან

კოდორის ნაწილის კომისრად აფხაზეთის კომისარიატს დაუნიშნავს ცნობილი „ბოლშევიკი" ლაკობა, გუდაუთის ყოფილი კომისარი, რომელმაც შეიარაღებული ძალით სოხუმის ალება სცადა შარშან და რომლის წინააღმდეგ ჩვენმა მთავრობამ მთელი ჯარი და არტილერია გაგზავნა იმ კოდორში; რომლის მცხოვრებნი მხოლოდ არ აღიარებდნენ ლაკობას ბრძანებლობას. ეხლა კი კოდორის მცხოვრებთა დასასჯელად ის ლაკობა გაგზავნეს, რომელმაც გაძარცვა მთელი სოხუმი, გუდაუთი, 3 სუხისგებაში იყო მიცემული, მაგრამ ახლამა მთავრობამ არა თუ პატივი ყოველივე შეცოდებანი, არამედ „პრისთავობაც" უბოძა.

განსაკუთრებული ყოველივეის, რაც აბხაზეთში ხდება, ვიდრე ბოროტი წელი და სული ისე აწყობს გარემოებას, რომ აბხაზეთს სამუდამოდ დაგვეკარგოს. ამავე დროს, როცა ლაკობასთანა „სოციალისტები" ქვეყნის მმართველად ინიშნება, სოფლებიდან ასახლებენ ისეთ მშრომელ, მუყაითი და დარბაისელ ადამიანებს, როგორიც არიან პეტრე ანჩაბაძე ცნობილი თავის ერთგულებით ქართველობისა საქმეებ სათვის და მურზაყან ლაკრიბაიას, რომლის მდიდარი ოჯახი, სახლ-კარი და შვილები მოხვეწილად შეიწირა ლაკობას რაზმმა.

სოხუმელი.

## საგულისხმო წინადადება

ბ. ნიკო თავდგირიძემ წარუდგინა ფინანსთა მინისტრს შემდეგი მოხსენება: „ჩვენი სახელმწიფოს არსებობის დამკვიდრება არც ერთ კონფერენციას არ ძალუძს, თუ ფინანსიურად ჩვენ არ გავმაგრდით და ალმშენებლობით მუშაობას არ შევუდექით. ამრიგად ჩვენში წარმოებულ, არა ნორმალურ ფინანსიურ წესებით — ქონების კონფისკაციის მსგავს გადასახადებ საშუალებით, ჩვენ მხოლოდ ძირს ვუთხრით სახელმწიფოებრივ წესწყობილებას და სამუდამოდ ვუსპობთ აღმშენებლობით უნარს საზოგადოების მომქმედ ნაწილს. ამიტომ ყველა, ჩვენი დამოუკიდებლობის მოტრფიალე, სახელმწიფოს ერთგულ ქვეშევრდომის ზნეობრივი მოვალეობაა, რითაც შეუძლია, ხელი შეუწყოს ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუ საქმით არ შეუძლია, რამე ახალი, ხალხის სასიკეთოდ გამოწვეული, აზრი-პროექტი მაინც წარმოადგინოს. ამ მოსაზრებით, გაახლებთ ამასთანავე პროექტს შინაგან სესხის მოწყობის შესახებ წაუგებელი ლატარიის მოწყობით ფინანსიურ მოსაზრებით, შემუშავებული ანგარიში წარდგენილი იყო ცნობილ ვიტეს ხელმძღვანელობით რუსეთის მთავრობასთან. ამას წინეთ ჩვენი ეროვნული საბჭოს დაარსების პირველ ხანებშივე წარვადგინე ეს პროექტი, მაგრამ სადღაც დაიკარგა და თითქმის არავინ ყურადღება არ მიაქცია. დიდი სამწუხარო იქნება, თუ ეხლაც ასეთივე ბედი ეწვია ამ პროექტს. ჩვენ ხალხში, განსაკუთრებით სოფლად, ბევრი ფულია შენახული: ქვევრებში, ბალიშებში, ხშირად ლპება, იკარგება კიდეც; ძლიერ საჭიროა ისეთი რამე საშუალების გამოგონება რომ გამოვიწვიოთ ეს უძრავი თანხა და მას ხალხისათვის საკეთილდღეო დანიშნულება მივსცეთ ამ ფულებით შეიძლება საქსოვი, სამეტალურგიო და სამღებრო ქარხნები მოვაწყოთ; ამით ჩვენ, ხალხის შეუწუხებლად, შემავიწროვებელი და მუდამ ყოველგან ხალხის უკმაყოფილების გამომწვევი, ხარჯების დაუხმარებლად, შეგვიძლია სავარძნობელი შემოსავალი აღმოვუჩინოთ ჩვენ სახელმწიფოს, მით უმეტეს, თუ ჩვენ უცხოეთის ბანკებს დავეხმარებით: ეს დიდი თანხა ერთი მილიარდი მარტო საქართველოში არ შეიკრიბება, მაგრამ ამ წესით უცხოელებიც ადვილად იყიდიან მოსაგებ ქაღალდებს. უნდა გამოიცეს 1.000 000.000 მანეთის მომგებიანი ქაღალდები 10.000.000 ფურცლებით ას-ას მანეთიანებად, განაწილებული 200 სერიად 50.000 ფურცელი თითო სერიაში. ამ სესხზედ 2 პროც. იხდის მთავრობა ექვსი თვეური კუპონებით. ამ კუპონებზედ სახელმწიფო გადასახადი არ იქნება.

ნაწილ-ნაწილად დრო-გამოშვებით, გათამაშებული იქნება 25.000.000 მანეთი, რაც შეადგენს მილიარდზედ 2 ნახ. პროც., ასე რომ მთავრობა იხდის ამ სესხის გამო 4 ნახ. პროც. რადგანაც ყოველ მოგების დროს ბილეთი სავსებით ნაღდდება 4 ნახ. პროცენტიდგან 1 პროც. ბილეთების გამოსყიდ ანგარიშში უნდა ჩაითვალოს, ამიტომ მთავრობა ფაქტიურად 3 ნახ. პროც. იხდის.

ეს სესხი უნდა დაიფაროს ასი წლის განმავლობაში, ყოველ წლივ ორჯერ გათამაშებით — თითოჯერ 50,000 ფურცლის — 12.500 000 მანეთის — წლიურად 100.000 ფურცლის — 25000.000 მ. გასათამაშებელი ქაღალდები განაწილებული იქნება შემდეგ — ნაირად:

| | |
|---|---|
| ერთი 200.000 მან. | 200 000 მ. |
| ორი 50.000 მ. | 100.000 „ |
| თორმეტი 25.000 მ. | 300.000 „ |
| 35—10.000 მ. | 350 000 „ |
| 50—5000 მ. | 250 000 „ |
| 400—2.000 მ. | 300.000 „ |
| 500—1000 მ. | 500 000 „ |
| 500—500 მ. | 250.000 „ |
| 500—300 მ. | 150 000 „ |
| 48 000—200 მ. | 9.600.000 მ. |
| სულ—50.000 მოგება; | 12 50 000 მ. |

რადგანაც ყველა ბილეთი მოგებას იძლევა დაზღვევა მისი საჭირო არ არის, მთელი ხალხის და შეუძლო ნაწილის ამ სესხში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება ქაღალდების. შეძენის ვალის განაწილება—12, —24, 36, 48. თვით.

თითო განაწილებული სესხის ქაღალდი ეღირება—100 მ. 50 კაპ. 50 კაპ. ხარჯებისა. 12 თვის განაწილებით მყიდველი იხდის 105 მან. თვეში 8 მ. 73 კ. 24 თვით—109 მ. 50 კ.—4.57.—36 თვით 114 მ.—3.17. 48 თვით 118 მ. 50 კ. 2.47 კ.

## მიმოსვლა

**სახალხო მატარებლებისა**

**ს. ს. რძ. გზ**

**გადის თბილისიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | საღ. | 8 ს. 7 წ. |
| ბათომში | № 5 | საღ. | 5 ს. 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. — |
| ფოთიდან | № 4 | საღ | 8 ს. 45 წ. |
| ბათომიდან | № 6 | შუად. | 12 ს. 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. 06 წ. |

**თბილისი-სადახლო**

**გადის სადახლოში**

№ 8 საღამოს 6 ს. 5 წ.
№ 6 შუადღის 2 ს. 32 წ.
№ 4 საღამოს 9 ს. 50 წ.

**მოდის სადახლოდან.**

№ 3 დილის 7 ს. 27 წ.
№ 5 ნაშუად. 3 ს. 5 წ.
№ 7 დილის 11 ს. 52 წ.

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი**

**გადის**

№ 63 შუადღის 2 ს. 40 წ.
№ 61 დილის 7 ს. 52 წ.
№ 19,20 შუად. 3 ს. 26 წ.

**მოდის:**

№ 19,20 დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62 დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64 საღ. 8 ს 4 წ.

**თბილისი-ხანაბი**

**გადის:**

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

**მოდის:**

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

**შენიშვნა 1.** მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

**შენიშვნა 2.** მ. მ. №№ 61, 62, 63 64 იმოძრავებენ თბილისსა, ქსნის და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე დღეებში, 2 წყვილი [illegible]


**საექიმო კაბინეტი**

**ექ. ქ. ს. შიოშვილისა**

მიიღებს: ვენერიულ, კანისა, და სხვა [illegible] (606 და 914 [illegible]) [illegible] ნაშუადღევის 6—7 საათ. [illegible]

25—2536—1

**ვ. გ. [illegible]**

[illegible] დიდი საღენიაიდი და ძვალის [illegible] კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის [illegible] უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—17—92.

სამკურნალო კაბინეტი [illegible]

[illegible]

**[illegible]**

[illegible] კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპ. № 116, სასტუმრო „ნოეს პირდაპირ ტელეფონი 14 23.


სტამბა სამინისტროს [illegible], [illegible] მუზეუმის [illegible] 3.